# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 6 თებერვალი, 2014 წელი.

№25 (7406)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## „რამდენი გამდიდრებული თავდაცვის მინისტრი უნდა გაუშვას ამ გაღატაკებულმა ქვეყანამ პარიზში საგრიალოდ?!“



**„საფრანგეთის სასამართლომ კეზერაშვილი ყოველგვარი გირაოს და ელექტრონული სამაჯურის გარეშე გაანთავისუფლა. რომელი საფრანგეთის მოქალაქე ან საფრანგეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები დავით კეზერაშვილია, ელექტრონული სამაჯური რომ გაეკეთებინათ? ისეთი რამე მაინც მოიტყუეთ ხოლმე, თქვე კაი ხალხო, ერთი ათი წელი რომ ვერავინ ვერ გაგიგებთ მაგ ტყუილს“**

## სოჭში საქართველო იმ ქვეყნების გვერდით იდგება, რომლებიც მხარს უჭერენ ჩვენი ტერიტორიის მთლიანობას



საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, საქართველოს მონაწილეობა სოჭის ოლიმპიადაში სწორი გადაწყვეტილება იყო:

**„ჩვენ არ შევწირეთ ოლიმპიური სულისკვეთება კონკრეტულ პრობლემებს, რომელიც პოლიტიკურ კონტექსტში ჯდებოდა. არ შევწირეთ იმიტომ, რომ ეს პოლიტიკურადაც სწორი გადაწყვეტილება იყო. მინდა, ყველა დავარწმუნო, ვისაც ამ პროცესის პოლიტიზება უნდა, პოლიტიკურად ოლიმპიადაში მონაწილეობა სწორი გადაწყვეტილებაა“.**

## მეცნიერება – ქვეყნის განვითარების გარანტი (4)

მეცნიერება აუცილებელია ხალხისათვის; ქვეყანა, რომელიც მას არ ანვითარებს, გარდაუვლად გადაიქცევა კოლონიად.

ფრედერიკ ჟოლიო-კიური

## დღის ამფრაზურიდან

## ხალხი მიდის და მილაპარაკობს...

### გუშინ მოსმენილ-გაგონილი

### რა ამამღლაყინწავებს ცხრა ღობეზე გადამხტარ ნიკა გვარამიას, რომლისა არც ფიცი გვწამს და არც ბოლო გვაკვირვებს!..

– თქვე, კაი ხალხო, თუ დემოკრატიაა და ყველასა აქვს თავისი აზრის გამოხატვის უფლება, ბიძინა ივანიშვილი რა, ხმაჩამორთმეული ხომ არ არის?!.

– ხედავ, ეს სააკაშვილისგან გაყვინჩილებული გვარამია, რა დღეშია? ივანიშვილმა „რუსთავი-2“-ის კრიტიკა როგორ გაბედაო? ეს მაშინ, როცა ჩვენ არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპის მასშტაბით პირველი ტელევიზია ვართო?

– ისე, საერთოდ ეგ თითქმის ყველა თანამდებობრივ ხეზე, დაბალზეც და მაღალზეც, არაერთხელ გადამხტარი, „რუსთავი-2“-ის დირექტორად მაინც როგორ მოხვდა?

– სააკაშვილის პოლიტიკური ილუზიონისტობისგან ეგ გიკვირს, შე კაი კაცო! მაგ „რუსთავის“ სახით პირდაპირ სიმსივნე დატოვა, რომელმაც ნელ-ნელაობით და ცოტა-ცოტაობით ძირი უნდა გამოუთხაროს ახალ ხელისუფლებას.

– მერე, ეს ახალი ხელისუფლება ვერ ხედავს „რუსთავი-2“-ის ოინებს? ვერ ხედავს, მთელი 24 საათი რა ძალით ებრძვის და რა ხერხებით სდებს მიწაში? თანაც ვითომ ოპონირების საბაბით. შე, დალოცვილო, ტყვიას თუ მესვრი და თან მეუბნები, უნდა გამოგაცოცხლოო, ტყვიას დავუჯერო თუ შენ დაგიჯერო, რას მირჩევ?

– შენ გეტყობა, ვირეშმაკა გიორგი გაბუნიას „არჩევანს“ უყურე „რუსთავი-2“-ზე 4 თებერვალს და იმან გაგალიზიანა.

– დიახ, დიახ, ვუყურე, მაგრამ კი არ გამაღიზიანა, ჩემთან ერთად თითქმის ნახევარი საქართველო აღაშფოთა. „რუსთავი-2“-ის საშუალებით ნაციონალები ფაქტობრივად ინარჩუნებენ ძალაუფლებას, ხალხს ახალი ხელისუფლების მიმართ ყოველგვარ ნდობას უკარგავენ, როგორც ასეთ დროს ამბობენ ხოლმე, ახალ ხელისუფლებას ფეხქვეშიდან ხალიჩას აცლიან...



– ივანიშვილის აზრით კი, ამ ყველაფერს თურმე ირონიით უნდა ვუყუროთ... ირონია შენ ვანო ჯავახიშვილისა უნდა ნახო. ქვას ქვაზე აღარ ტოვებს ოცნებისგან. დაცინვა, გაქირდვა და ქილიკი, მოგეხსენება, სახელმწიფოებს ანგრევს... ასე რომ ჩვენ ამ აშკარა დამანგრეველ ძალას **დავდგეთ და ირონიით ვუყუროთ?** როდემდე, ჩემო ბატონო, სანამ ძველი საშინელი ცოდვებისთვის დღემდე დაუსჯელი ნაციონალები ისევ სააკაშვილს არ დაგვასვამენ ამათგან უკვე ზომაზე მეტად დასკინტლულ თავზე?!.

– ისე, საერთოდ, ვისი კერძო საკუთრებაა ეს „რუსთავი-2“? როგორ აღმოჩნდა ეს თავგადავაზელინებული გვარამია ამხელა ტელეკომპანიის გენერალურ დირექტორად?

– მეორედ მოსვლის მთელ იმედებს ამჟამად ამერიკაში გადახვეწილი სააკაშვილი სწორედ „რუსთავი-2“-ზე და გვარამიაზე ამყარებს.

– მე როგორც ვიცი, ამ ტელეკომპანიას, ჯერ ეს ერთი, თავისი ნამდვილი პატრონი ჰყავს, რომელსაც რატომღაც თავისი ქონების კანონიერად დაბრუნების საშუალებას არ აძლევენ, მეორეც, ვალებმა, რაც „რუსთავი-2“-ს დაუგროვდა, მილიონები შეადგინა. პირდაპირ საკვირველია, რატომ არავინ არ სთხოვს დღემდე ამ მილიონიან ვალებს?!

– ერთი სიტყვით, ნამდვილად ვერ არის საქმე კარგად. ამ არა ერთი დანაშაულისთვის კარგა გვარიანად ცოდვილ გვარამიას ამდაგვარი მამლაყინწაობა სულაც შემთხვევითი არა მგონია. ამ გულის ამრევ მამლაყინწობაში ქვეყნისა და ახალი ხელისუფლებისთვის რაღაც საშიში ასაფეთქებელი „იდეოლოგია“ იმალება.

**დიდად პატივცემულო ბატონო ბიძინა, იქნებ ნაციონალების ყოველივე ამ აშკარად დივერსიულ-პროვოკაციული საქმიანობის მარტო ირონიით ყურება საკმარისი არ არის და საბოლოოდ ძალიან გვიან გამოდგეს თითზე კბენანი!**

**ნუ დაგავიწყდებათ, რომ გალიის გარეთ დარჩენილ სისხლმოწყურებულ აფთრებთან გაქვთ საქმე!**

**აფთარი კი, კარგად უნდა მოგეხსენებოდეთ, მგელზე ბევრად დაუნდობელი ცხოველია!**

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

№25. ხუთშაბათი, 6 თებერვალი, 2014 წელი.

ალიან-ჩალიანი

## რუსეთმა ქართველი „ჯაშუშები“ გაათავისუფლა

**რუსეთის** მხარემ ვადაზე ადრე გაათავისუფლა საქართველოს ორი მოქალაქე, რომლებიც რუსეთში სასჯელს ჯაშუშობის ბრალდებით იხდიდნენ.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, მათ 8 და 9 წელი ჰქონდათ მისჯილი და საკმაოდ ცუდი პერსპექტივითო.

— ისინი რუსეთის მხარემ გაათავისუფლა და უკვე საქართველოში, თავის ოჯახებთან იმყოფებიან. დარჩა კიდევ რამდენიმე მოქალაქე და ჩვენ ვმუშაობთ მათ გათავისუფლებაზეც, — აღნიშნა ზურაბ აბაშიძემ, თუმცა გათავისუფლებულთა ვინაობა არ დააკონკრეტა.

— ჩვენ ამ თემას არ ვაპიარებდით და ოპონენტების კრიტიკას არ ვპასუხობდით, მაგრამ უკვე გვაქვს კონკრეტული შედეგი. ეს არის პასუხი იმ კრიტიკაზეც, რომ რუსეთთან დიალოგი საჭირო არ არის. ეს არის სწორედ ამ დიალოგის ერთ-ერთი შედეგი. დარწმუნებულები ვართ, სხვა დაკავებულებთან დაკავშირებითაც ანალოგიური გადაწყვეტილება იქნება მიღებული, — განაცხადა აბაშიძემ.

მისი ინფორმაციით, გათავისუფლებული ორი პირი რუსულმა მხარემ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დააკავა.

## თავი შეიკავეთ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ჩასვლაზე

**ესტონეთის** საგარეო საქმეთა სამინისტრო სოჭის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ გზამკვლევში, ესტონეთის მოქალაქეებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ჩასვლისგან თავის შეკავებას ურჩევს.

— აფხაზეთსა და ოსეთში არალეგალური შესვლა (რუსეთის საზღვრიდან) სისხლის სამართლის დანაშაულია. ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო განმარტავს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ოკუპირებული ტერიტორიებია და ისინი საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე, ყველა უცხოელი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ზემოხსენებულ ტერიტორიებზე შესვლისა და ყოფნის ნებართვა მიიღოს, — ნათქვამია ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გზამკვლევში.

## „ნაცმოძრაობის“ გენერალური მდივანი გვამებს ითხოვს, თავმჯდომარეს კი მთელი პარტია ფეხებზე ჰკიდია

**ამის** შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ნუკრი ქანთარიამ გუშინდელ სესიაზე განაცხადა. მისი თქმით, ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებით გავრცელებულ ვიდეოს „ნაციონალურ მოძრაობა„ ან უნდა გაემიჯნოს ან პასუხისმგებლობა უნდა აიღოს.

— მე მინდა გამოვეხმაურო იმ ფირს, რომლის პირობითი სათაურიც შეიძლება ასეთი იყოს — „ორი გვამი მჭირდება“. 20 მაისს მოხდა ეს საშინელი უბედურება, როდესაც დახვრიტეს გია კრიალაშვილი და მისი ორი მეგობარი. მაშინ რუსთაველის გამზირზე იმართებოდა მიტინგები. დახვრეტიდან რამდენიმე დღით ადრე დატრიალდა ინფორმაცია, რომ მერაბიშვილი ამ ხალხის არა აყვანას, არამედ ლიკვიდაციას აპირებს. მე მომიწია მაშინ მიტინგზე ამის გახმოვანება, მაგრამ არ მჯეროდა თუ ამას გაბედავდნენ და მოახდენდნენ ასეთ საშინელებას. ჩემთვის აბსოლუტურად ნათელია, რომ იყო ლიკვიდაციის ბრძანება, რომელიც კადრებშიც ჩანს. ამ ყველაფრის მერე მინდა ვკითხო „ნაციონალურ მოძრაობას„ რა უბედურება გჭირთ. თქვენი გენერალური მდივანი გვამებს ითხოვს, პარტიის თავმჯდომარე კი გეუბნებათ, რომ ფეხებზე ჰკიდიხართ და არ აინტერესებთ. ამის შემდეგ რა უფლებით უნდა გველაპარაკოთ ეკონომიკაზე, უუნარობაზე და ხალხის სიკეთესა და კეთილდღეობაზე.

ან გაემიჯნეთ ამ ამბებს, ან აიღეთ ეს პასუხისმგებლობა, — აღნიშნა ნუკრი ქანთარიამ.

## ათი ათასი ყალბი დოკუმენტების სანაცვლოდ

**საქართველოს** ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება — გასაღების ფაქტზე, შპს „ჯეო აზ ელ“-ის დირექტორი დავით ცუცქირიძე დააკავეს.

როგორც საგამოძიებო სამსახურიდან იტყობინებიან, გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა, „ჯეო აზ ელ“-ის სახელით, ერთ-ერთ მეწარმეს 10 000 ლარის სანაცვლოდ, ყალბი საგადასახადო ანგარიშ ფაქტურა გამოუწერა, რომლის მიხედვით, თითქოს საზოგადოებამ მეწარმისთვის 53 614 ლარის ელექტრო — სამონტაჟო სამუშაოები განახორციელა.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც თავისუფლების აღკვეთას 2 დან 4 წლამდე ვადით ითვალისწინებს.

კონფერენცია — „SOS — საქართველოს მთა“

# ვინ უნდა ააღორძინოს საქართველოს მთა?



**2002 წლის მონაცემებით, საქართველოს 164 სოფელი მთლიანად დაიცალა მოსახლეობისგან, ხოლო 152 სოფელში ათი და ნაკლები კომლი ცხოვრობს.**

**ლევან ვასაძემ „მარიოტში“ გამართულ კონფერენციაზე: „SOS — საქართველოს მთა“, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს მთიან და მაღალმთიან რეგიონებში საგადასახადო შეღავათების და დემოგრაფიული დახმარების ამოქმედება, დემოგრაფიული დახმარების პროგრამების გააქტიურება და კომუნალური გადასახადების სრული სუბსიდირება შესთავაზა. ლევან ვასაძე მაღალმთიან რეგიონებში შექმნილ ვითარებას კატასტროფულად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში საქმე ეხება არა უბრალოდ რეგიონებს, არამედ სასაზღვრო რეგიონებს, სადაც, მისი თქმით, მცოცავი ექსპანსია ყველა მხრიდან შეინიშნება.**

ვასაძის თქმით, მაღალმთიან რეგიონებში სპეციალური სახელმწიფო უწყება უნდა შეიქმნას, რომელიც შეიძლება იყოს მცირე სააგენტო, ან სამინისტრო. ბიზნესმენმა აღნიშნა, რომ ყველა მთიან ქვეყანას აქვს ასეთი ტიპის უწყება და საფრანგეთში მთის საკითხების ხელმძღვანელი პირი ვიცე-პრემიერია. ვასაძემ მაგალითად ასევე შვეიცარია და გერმანია დაასახელა. „ჩვენ უნდა ჩამოვუაროთ ჩვენს ყველა მაღალმთიან რეგიონს და დავსახოთ ეკონომიკური და დემოგრაფიული ციფრები, რომლის მიღწევასაც ვაპირებთ. ერთად უნდა ვეცადოთ ყველა მთიან რეგიონში მდგომარეობის გამოსწორებას, იქნება ეს საგადასახადო შეღავათები, სუბსიდიება თუ მოსახლეობის სხვა გზით დახმარება. გამოვაცხადოთ ესა თუ ის წელი პრიორიტეტების შესაბამისად, რაჭის, ხევსურეთის, ფშავის, სვანეთის წლად და ასე, 5-6 წლის განმავლობაში, მძლავრი იმპულსები მივცეთ მაღალმთიანი რეგიონების განვითარებას“, — განაცხადა ბიზნესმენმა.

ლევან ვასაძემ ასევე მხარდაჭერა გამოხატა პატრიარქის ინიციატივასთან დაკავშირებით, რომელიც მაღალმთიან რეგიონებში ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირების დასახლებას ითვალისწინებს.

პატრიარქის ეს ინიციატივა კონფერენციის მონაწილეებს წერილობით გააცნეს, რომელშიც აღნიშნულია, რომ სასურველია, მთის დაუსახლებელ ტერიტორიებზე მოეწყოს მიმაგრების ადგილები, რათა შედარებით მსუბუქი დანაშაულის მქონე ადამიანებმა მოიხადონ სასჯელი. „გამოვხატავ ჩემს მადლიერებას მთის პრობლემების წინ წამოწევის გამო.... ვიმედოვნებ, ეს კონფერენცია, ქმედითი ღონისძიებების საწყის ეტაპად იქცევა. ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ პირველ რიგში, საკანონმდებლო ცვლილებებია განსახორციელებელი და სამუშაო ადგილები შესაქმნელი, რომ ხალხი დაინტერესდეს და მთისკენ იბრუნოს პირი. ვინ შეიძლება დასახლდეს აღნიშნულ რეგიონებში? პირველ რიგში, უნდა ვეცადოთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა დაბრუნდეს და თუ ამას ვერ მივაღწევთ, პირობები უნდა შეიქმნას, თუნდაც მათი ნახევარწლიანი მომთაბარე ცხოვრებისათვის, ანუ ნაწილობრივი დაბრუნებისათვის მიტოვებულ ადგილებში. კარგი იქნება, თუ დავასახლებთ (წინასწარი მომზადების შემდეგ) მშობლების მზრუნველობამოკლებულ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც 18 და მეტი წელი შეუსრულდათ და, რომელთაც აქამდე მოქმედი კანონმდებლობით, ფაქტობრივად, ქუჩაში წასვლა უწევთ. შეიძლება ვიფიქროთ იმ ოჯახებზეც, რომლებმაც გაჭირვების გამო დაკარგეს სახლ-კარი და ღვთის ანაბარად დარჩნენ.

ასევე სასურველია, მთის დაუსახლებელ ტერიტორიებზე მოეწყოს მიმაგრების ადგილები, რომ შედარებით მსუბუქი დანაშაულის მქონე ადამიანებმა მოიხადონ სასჯელი და თავისი შრომით წვლილი შეიტანონ მხარის აღორძინებაში. რა თქმა უნდა, წინადადებები სხვაც ბევრი იქნება და ალბათ, გაცილებით უკეთესიც, რაც ფრიად სასიხარულოა ჩვენთვის. მთავარია, რეალური ნაბიჯები გადაიდგას, რომ ქვეყანა დაცარიელებული მთიდან გამომდინარე უმძიმესი შედეგებიდან ვიხსნათ. ეკლესია მზად არის, შესაძლებლობისამებრ, გვერდში დაუდგეს ამ საქმეს და თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოს გადარჩენაში. ღმერთმა დაგლოცოთ ყველანი, ღმერთმა ააღორძინოს და გააძლიეროს საქართველოს მთა და ბარი“, — აღნიშნავს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი წერილში.

მაღალმთიან რეგიონებში არსებული პრობლემების გადაწყვეტასთან დაკავშირებით სპეციალური სამუშაო ჯგუფი შეიქმნება — ამის შესახებ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ განაცხადა. ჯგუფში მაღალმთიან რეგიონებთან დაკავშირებულ საკითხებზე წლების განმავლობაში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები და დამოუკიდებელი ექსპერტები შევლენ. ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ასევე ეკონომიკისა და რეგიონული განვითარების სამინისტროები. დავით ნარმანიას განცხადებით, „აუცილებლად უნდა გადაიხედოს ის მოძველებული კანონი მაღალმთიანი რეგიონების შესახებ, რომელიც 1999 წელს შემუშავდა, რადგან ეს კანონი პრაქტიკაში ვერ მუშაობს. შესაბამისად, საჭიროა ახალი კანონის მომზადება, თუმცა, კანონის შექმნა არ არის პრობლემის მოგვარების უალტერნატივო გზა. ამასთან ერთად, სტიმულირების მექანიზმები და სხვა სახის ღონისძიებები უნდა გატარდეს როგორც ხელისუფლების, ისე დონორი და სხვა ორგანიზაციების მხრიდან. დღევანდელი შეხვედრა სწორედ ამ საკითხებს შეეხება და, პრაქტიკულად, ეს არის პირველი მოთელვა იმისა, თუ როგორ უნდა განვითარდეს მაღალმთიანი რეგიონები. ამაზე დაყრდნობით, უკვე შემდგომ სამუშაო ჯგუფი გააგრძელებს მუშაობს,“ —განაცხადა დავით ნარმანიამ.

რაც შეეხება მთის კანონს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის დავით ნარმანიას განცხადებით, კანონპროექტი ექსპერტებმა უკვე შეიმუშავეს, თუმცა, თავად რეგიონული განვითარების სამინისტროშიც არის მთის კანონის მონახაზი, რომელზეც ბოლო ერთი წელია აქტიურად მუშაობენ.

**ნატა ნიბლაძე**

იყო ომის გეგმა

# 2008 წლის გაზაფხულზე სოხუმზე თავდასხმას აპირებდნენ

**„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, 2008 წლის გაზაფხულზე მას თავდაცვის სამინისტროში, ღამის 01:00 საათზე, სოხუმამდე მისვლის გეგმა გააცნეს. მისივე თქმით, სამინისტროში გამართულ თათბირს გენერალური შტაბის თითქმის მთელი შემადგენლობა ესწრებოდა და ამ ფაქტს არა ერთი მოწმე ოფიცერი ჰყავს.**

2008 წლის აპრილში აფხაზეთის მიმართულებით საომარი მოქმედებების დაწყების გეგმაზე ბურჯანაძემ „ტელეიმედის“ გადაცემაში „პოლიტიკის დრო“ ისაუბრა.

ბურჯანაძე ასეთი გადაწყვეტილების მოწმეთა შორის ქვეყნის მაშინდელ პირველ პირებს სააკაშვილს, მერაბიშვილს, ბოკერიას, ტყეშელაშვილს, ლომაიას, ვაშაძეს და კეზერაშვილს ასახელებს.

როგორც ბურჯანაძემ აღნიშნა, ის და ბეჟუაშვილი ომის დაწყების კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ, გიგა ბოკერია კი, ბოლო ხმაზე აღფთოვანებული გაჰყვიროდა: „კარტა ბელე გვაქვს და აუცილებლად უნდა დავიწყოთ ომი აფხაზეთშიო“.

„ეს ის პერიოდი იყო, როცა რუსეთმა აფხაზეთში სარკინიგზო ჯარები შეიყვანა და აფხაზეთის რკინიგზის აღდგენა დაიწყეს. ეს ფაქტი არ მომიყოლია მანამ, სანამ ამაზე საუბარი თავისი სიბრიყვით სააკაშვილმა არ დაიწყო. წინა ხელისუფლებამ ყველანაირი იარლიყი მომაწერა და სამშობლოს მოღალატე მიწოდა, მაგრამ არ მინდოდა ქვეყანა დაგვეზარალებინა და ვინმესთვის იმის თქმის საფუძველი მიმეცა, რომ საქართველო აპრილშიც კი ომისთვის ემზადებოდა. ეს თავად სააკაშვილმა განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში და ამის შემდეგ, ბუნებრივია, გამეხსნა ხელი, დავადასტურე და უფრო გახსნილად შემიძლია ვილაპარაკო, რომ დიახ, იყო ასეთი ფაქტი. არსებობდა კონკრეტული გეგმა, რომელიც თავდაცვის სამინისტროში ღამის პირველ საათზე გამაცნეს. ეს იყო სოხუმამდე მისვლის გეგმა. ამას ესწრებოდა გენერალური შტაბის შემადგენლობა, მაგრამ სოხუმს იქით დანარჩენი აფხაზეთი სააკაშვილს და მის მეგობრებს არ აინტერესებდათ. სწორედ მაშინ შედგა სატელეფონო საუბარი სააკაშვილსა და პუტინს შორის, რომელიც ასევე პირველად სააკაშვილმა გაახმოვანა და არა მე. ამ სატელეფონო საუბარს ვესწრებოდი და ის ჩემი ინიციატივით შედგა. სააკაშვილმა გაიხსენა კიდეც, რომ სწორედ მაშინ უთხრა პუტინმა, რომ თუ შენ ომს დაიწყებ, იქ დგანან ჩვენი სამშვიდობო ძალები, დავამარცხებ შენს ჯარს, ვცნობ აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს და დაგიშლი ქვეყანასო, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

„დემოკრატიული მოძრაობის„ ლიდერმა აღნიშნა ისიც, რომ პროკურატურას ამ თემაზე გამოძიების დაწყება შეუძლია.

**ინტერპრესი**

# სინამდვილეში საკითხავი აი, რა არის: „რამდენი გამდიდრებული თავდაცვის მინისტრი უნდა გაუშვას ამ გაღატაკებულმა ქვეყანამ პარიზში საგრიალოდ?!“

**„მადლობა ყველას, თავისუფალი ვარ“, — ასე გამოეხმაურა სოციალური ქსელის საშუალებით თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი ექს-ან-პროვანსის სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელმაც აღკვეთის ღონისძიების ნაცვლად გირაო შეუფარდა. კეზერაშვილის შემდეგი სასამართლო პროცესი 27 თებერვალს გაიმართება. ამ დღეს მოსამართლე საქართველოს მთავარი პროკურატურის მოთხოვნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას გამოაცხადებს, რის შემდეგაც გაცხადდება, მოხდება თუ არა კეზერაშვილის საქართველოში ექსტრადიცია.**

**კეზერაშვილის ადვოკატის შოთა მინდელის ინფორმაციით, დავით კეზერაშვილი პატიმრობიდან გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა. თუმცა, გირაოს თანხა ამ დრომდე უცნობია. გავრცელებულ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ დავით კეზერაშვილი საფრანგეთის სასამართლომ ელექტროსამაჯურის ტარების პირობით გაათავისუფლა, ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე, რომელიც საფრანგეთში მოღვაწეობს, სიცრუეს უწოდებს.**

**„საფრანგეთის სასამართლომ კეზერაშვილი ყოველგვარი გირაოს და ელექტრონული სამაჯურის გარეშე გაანთავისუფლა. რომელი საფრანგეთის მოქალაქე ან საფრანგეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები დავით კეზერაშვილია, ელექტრონული სამაჯური რომ გაეკეთებინათ? ისეთი რამე მაინც მოიტყუეთ ხოლმე, თქვე კაი ხალხო, ერთი ათი წელი რომ ვერავინ ვერ გაგიგებთ მაგ ტყუილს“, — წერს ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე.**



სასამართლოს გადაწყვეტილებას მალევე გამოეხმაურა მთავარი პროკურატურა. უწყებაში აცხადებენ, რომ დავით კეზერაშვილი პატიმრობიდან ელექტრონული სამაჯურის გამოყენების პირობით გათავისუფლდა. მოსამართლემ დავით კეზერაშვილს აუკრძალა საფრანგეთის ტერიტორიის დატოვება და დააკისრა ვალდებულება, იცხოვროს ექს-ან-პროვანსში მოსამართლის მიერ მითითებულ კონკრეტულ მისამართზე.

გადაწყვეტილების თანახმად, კეზერაშვილს სასამართლომ უფლება მისცა, საცხოვრებელი ადგილი დატოვოს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, მხოლოდ 10-დან 18 საათამდე, ხოლო შაბათს და კვირას 9-დან 21 საათამდე. გარდა ამისა, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დავით კეზერაშვილს ჩამოერთვა მისი ორი პასპორტი.

ექ-ან-პროვანსის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ყოფილ მინისტრს ელექტრონული სამაჯურის ტარების ვადად განესაზღვრა 6 თვე და არა მხოლოდ 27 თებერვლამდე პერიოდი, როდესაც ექსტრადიციის საკითხზე მოსამართლემ მსჯელობა უნდა განაახლოს.

მთავარი პროკურატურა აგრძელებს ექსტრადიციის საკითხზე მუშაობას ფრანგ კოლეგებთან სამართლებრივი თანამშრომლობის ფარგლებში. მთავარი პროკურატურის სამართლებლივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ირაკლი დონდოლაძე for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ საფრანგეთის სააპელაციო სასამართლოს არა აქვს ის მტკიცებულებები, რომელთა განხილვა შედის თბილისის სააპელაციო სასამართლოს კომპეტენციაში.

**„საკითხი დგას ასე — უნდა მოხდეს თუ არა პიროვნების ექსტრადირება, რამდენად უნდა ენდოს საფრანგეთის მარლმსაჯულება ქართულ მართლმსაჯულებას. რამდენად იქნება დაცული პიროვნების უფლებები პირის ექსტრადირების შემდეგ, ეს არის მთავარი საექსტრადიციო პროცედურებში და არა ის, ბრალდება სუსტია თუ ძლიერი. საექსტრადიციო პროცედურებში მთავარია, ექსტრადირების შესახებ ევროპული მოთხოვნები იყოს დაკმაყოფილებული. იმ მოთხოვნებში მტკიცებულებებზე აპელირება, რომ საქართველოს მხარეს აქვს ვალდებულება, მტკიცებულება მიაწოდოს მეორე მხარეს, არაა“,** — აცხადებს ირაკლი დონდოლაძე.

მთავარი პროკურატურის მიერ დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმით კმაყოფილია ა/ო „მოქალაქის“ დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი, რომლის თქმით, ის პირად იყო ჩართული, რომ დავით კეზერაშვილზე ინტერპოლს ძებნა წითელი ცირკულარით დაეწყო. თუმცა, რამდენიმე თვის განმავლობაში ეს ვერ მოხერხდა.

**„კეზერაშვილთან მიმართებაში იარაღის შესყიდვაზე კითხვები მეც გამაჩნია. დავიცვათ უდანაშაულობის პრეზუმფცია და კეზერაშვილსაც ნუ მივანიჭებთ ჯერ დამნაშავის სტატუსს, თუმცა საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, რომ ამ იარაღის შეძენის დროს ფული წავიდა სხვა მიმართულებით. იარაღით ვაჭრობისას, ნარკოტიკების მსგავსად, დაახლოებით 2/3 მიდის გვერდზე“,** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

როგორც ცნობილია, კეზერაშვილი საფრანგეთში ქართული მხარის მოთხოვნით დააკავეს. მის წინააღმდეგ საქართველოში ორი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. რიყისა და „ტელე იმედის“ გასხვისების საქმე, სადაც კეზერაშვილს სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგოდ მითვისებას ედავებიან, ასევე კონტრაბანდული სპირტის საქმე, სადაც თავდაცვის ყოფილ მინისტრს კონტრაბანდული სქემის მფარველობაში ადანაშაულებენ. ამასთან, მთავარი პროკურატურა გამოძიებას აწარმოებს კიდევ ერთ საქმეზე, საქმე ეხება კეზერაშვილის კავშირს იარაღის ბიზნესთან.

ყოფილი მმართველი ძალა თვლის, რომ კეზერაშვილის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში დანაშაულის ნიშნები არ იკვეთება. მათივე განცხადებით, მას ხელისუფლება მხოლოდ იმიტომ დევნის, რომ იგი „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი მსხვილი დამფინანსებელია. სწორედ ამ შინაარსის წერილით მიმართა საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა ექს-ან-პროვანსის სასამართლოს. მიხეილ სააკაშვილი წერილში აღნიშნავს, რომ კეზერაშვილს დანაშაულად უთვლიან იმას, რომ ის აფინანსებს „ნაციონალურ მოძრაობას“.

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი აცხადებს, რომ დავით კეზერაშვილის ექსტრადიციის საქმე აბსოლუტურად შორსაა პოლიტიკისგან. მას მიაჩნია, რომ აღნიშნულ საქმეზე მოსამართლესა და პროკურორს მშვიდად მუშაობის საშუალება უნდა ჰქონდეთ.

**„მინდა, ყველას კიდევ ერთხელ მოვუწოდო, რომ ფრანგი მოსამართლისთვის მნიშვნელოვანია, რომ პირუთვნელი გადაწყვეტილების მიღების საშუალება ჰქონდეს, რათა მან რეალობა დაინახოს. რეალობა კი ერთია, რომ ექსტრადიციის საქმე არავითარ კავშირში არ არის პოლიტიკასთან. ეს წმინდა სამართლებრივი თემაა. პროკურატურას ძალიან კომპეტენტური სამუშაო აქვს ჩატარებული. ინგლისური სხვაა, მაგრამ ძნელია ფრანგულ სამართალს გაუგო, როდესაც საქართველოში ფრანგული მარტივი თემა არ არის. მათ ჩაატარეს ტიტანური შრომა, რომელსაც წყალში ნურავინ გადაყრის“,** — ამბობს თეა წულუკიანი.

იურისტი ლია მუხაშავრია ამბობს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ბრალი იყოს დასაბუთებული, რათა გადაწყვეტილების მიმღებ ქვეყანას არ გაუჩნდეს კითხვები. მისი განმარტებით, საქართველოს ხელისუფლებამ ეს მოთხოვნა ექსტრადიციის შესახებ ჩააფლავა. ბრალი და ის დოკუმენტები, რომელიც ამ ბრალს ადასტურებდა, სრულიად უსუსური იყო.

**„კეზერაშვილის შემთხვევაში ცოტა უფრო რთულად არის საქმე. იმიტომ, რომ მას დაუსწრებელი განაჩენიც აქვს გამოტანილი. ძალიან ვეჭვობ, რომ ეს დაუსწრებელი განაჩენი იმდენად დაუსაბუთებელია, რომ ვერც ერთ ქვეყანას, მათ შორის ვერც აფრიკის ქვეყნის წესიერ მოსამართლეს ვერ დაარწმუნებს, რომ ამ ადამაინის ექსტრადიცია უნდა მოხდეს. პროკურატურას თუ ჰგონია, რომ დაუსწრებელი განაჩენი, რომელიც გამოუტანეს კეზერაშვილს, ხელმისაწვდომი არაა საზოგადოებისთვის და აქ მიმდინარე გამოძიება დახურულია საზოგადოებისთვის და ამიტომ შეუძლიათ ასეთი განცხადება გააკეთონ, ძალიან ცდებიან.**

**თუ იარაღით უკანონო ვაჭრობაში ადანაშაულებს საფრანგეთის ხელისუფლება და, როგორც ვიცით, ადანაშაულებს კეზერაშვილს, ის იარაღი საფრანგეთის ტერიტორიაზე კი არ უყიდია, საფრანგეთის მთვარობისთვის კი არ უყიდია და გაუყიდია, არამედ საქართველოს მთვრობის სახელით მოქმედებდა. შესაბამისად, ფრანგებს რომ არ დაეჭირათ კეზერაშვილი, ჩემი ღრმა რწმენით, ჩვენი მთავრობა 100 წელი ვერ მოახერხებდა მისი ბრალდების წარდგენას, დასაბუთებას და მის პასუხისმგებაში მიცემას“,** — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ლია მუხაშავრია.

მისივე განცხადებით, ის ფაქტი, რომ მთავარი პროკურატურა ვერ ახერხებს ამ პირის ექსტრადიციას ქვეყანაში, ეს განაჩენი უნდა იყოს პროკურატურისთვის. მათ შორის ყველა იმ პროკურორის, რომლის შუამდგომლობას და მოთხოვნას მოჰყვა ეს შედეგი. როგორც იურისტი განმარტავს, ეს პროკურორები სამსახურს უნდა ტოვებდნენ.

იურისტი სოსო ბარათაშვილი განმარტავს, რომ კეზერაშვილი პოლიტიკური ფიგურაა, ამიტომ გაცილებით უფრო მეტი მტკიცებულებებია საჭირო იმისათვის, რომ მოხდეს მისი ექსტრადირება, ვიდრე ჩვეულებრივი კრიმინალის შემთხვევაში.

**„არსებითად ეს საქმე განიხილება თებერვლის ბოლოს და მაშინ ვნახავთ შედეგს. მაგრამ პროკურატურამ უნდა წარადგინოს მეტი მტკიცებულება. ერთი მხრივ, ეს არის ფინანსური კატეგორიის საქმე, მეორე, მხრივ პოლიტიკურ ფიგურას ეხება ეს საქმე.**

**არსებობს საქართველოს ყოფილი პერზიდენტის წერილი, რომელიც მიწერა სასამართლოს, დაქირავებული ჰყავთ ადვოკატები, ოპოზიცია ძალიან სერიოზულად მუშაობს, პროკურატურას გაცილებით მეტი მტკიცებულების მოპოვება და მეტად მუშაობა მოუწევს. რამდენად იკვეთება ამ შემთხვევაში პოლიტიკური ფიგურის მიმართ გარკვეული ბრალეულობა, ვიდრე რიგითი ბრალდებულის მიმართ, ამას დიდი მნიშვნელობა ექნება. ბრალდების მხარეს გაცილებით მეტი ხარისხით მოუწევს სასამართლოზე თავისი პოზიციის დაფიქსირება“,** — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას სოსო ბარათაშვილი.

პარტია „საქართველოს გზის“ ლიდერი სალომე ზურაბიშვილი განმარტავს, რომ **„თუ გინდა მიზანს მიაღწიო, გამოუცდელი, ახალგაზრდა პროკურორის გაგზავნა არ შეიძლება სახელმწიფო მნიშვნელობის საქმის წარსადგენად“.** ზურაბიშვილი ეჭვობს, რომ 27 თებერვალს, საბოლოო განაჩენით კეზერაშვილს გაათავისუფლებენ პასუხისმგებლობიდან.

**„ეს საქმე ბევრ კითხვას ბადებს. ჯერ ერთი — პარალელი ოქრუაშვილის საქმესთან - იქაც თავდაცვის მინისტრი და — აქაც, იქაც საფრანგეთი და — აქაც, იქაც ექსტრადიციის მოთხოვნა, უარის თქმა, თავშესაფარის შეფარდება და — აქაც. მაგრამ, ასე თუ გავყვებით, სხვა კითხვებიც მოყვება.**

**ოქრუაშვილის შემთხვევაში ვიცით, რომ მაშინდელმა ხელისუფლებამ მოითხოვა ოქრუაშვილისთვის ღამის თორმეტ საათზე საფრანგეთის ვიზის ჩარტყმა, ბილეთებიც დაჯავშნული იყო და გაიყვანეს ქვეყნიდან. ამის მერე, არანაირი ზომა არ იქნა მიღებული ოქრუაშვილის საწინააღმდეგოდ არც პერსონალურად (მისი ოჯახი თავისუფლად მოგზაურობდა პარიზსა და თბილისს შორის) არც ფინანსურად იმ თანხების დასაბრუნებლად, რაც უდავოდ ქვეყნის ბიუჯეტიდან და „ატკატებიდან“ იქნა მითვისებული და რისი დამტკიცება არ გაუჭირდებოდა წინა რეჟიმს, ეს რომ სდომოდა, მაგრამ არ მოინდომა.**

**პარალელებს თუ გავყვებით, არ შეიძლება არ დასვათ კიდევ ერთი კითხვა — ნუთუ ეს განზრახ ხდება და ნუთუ უკვე გამოცდილი მოდელი ისევ თამაშდება? ვითომც გაძევება, ვითომც ექსტრადიციის მოთხოვნა, მაგრამ არასერიოზულად დასაბუთებული. ვიცით, რომ თუ არა უსერიოზულესი დასაბუთება, ამ შემთხვევებში საფრანგეთი თავს იკავებს ექსტრადიციისგან, მეტადრე, როცა პოლიტიკური ანგარიშსწორების ნიშნები ჩნდება. შედეგი იგივეა „ნაციონალური მოძრაობა“ კეზერაშილის სახით ინარჩუნებს უზარმაზარ რესურსებს. ამ ბოლო ეპიზოდში ჩანს, რომ ფულის დახარჯვა ლობისტებზე და მედიაზე არ უჭირთ.**

**რამდენი გამდიდრებული თავდაცვის მინისტრი უნდა გაუშვას ამ გაღატაკებულმა ქვეყანამ პარიზში საგრიალოდ და, რაც მთავარია, როდის ეღირსება ეს ქვეყანა იმის გაგებას, თუ ვინ ვაჭრობდა იარაღით, როცა ქვეყანას ომისთვის ამზადებდნენ, ვინ არის პასუხისმგებელი უკრაინისგან დაძველებული და უვარგისი იარაღის შეძენაზე, რა შეთანხმება შედგა... და ისრაელთან შეიარაღებაზე. პარლამენტიც ამ თემებზე დუმს, ვითომც და არაფერი“,** — წერს სალომე ზურაბიშვილი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე.

**თამთა ქარჩავა**



# მეცნიერება — ქვეყნის განვითარების გარანტი

**მეცნიერება აუცილებელია ხალხისათვის; ქვეყანა, რომელიც მას არ ანვითარებს, გარდაუვლად გადაიქცევა კოლონიად.**

**ფრედერიკ ჟოლიო-კიური**

**საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეცნიერება კაცობრიობის განვითარების ძირითადი შემადგენელი კომპონენტია და მეცნიერებისადმი დამოკიდებულება ადეკვატურად აისახება ქვეყნის ცხოვრების დონეზე. მეცნიერება დიდი ხანია საწარმოო ძალაა და მის გარეშე შეუძლებელია უახლოესი ტექნოლოგიების შექმნა და ადამიანთა შესაძლებლობების გაფართოება, ყოველგვარი პროგრესი.**

საზოგადოებას შევახსენებ, რომ საქართველოში მეცნიერების განვითარების საწყისები ადრინდელ საუკუნეებში არსებობდა. საქართველო ყოველთვის ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ევროპული კულტურის და ცივილიზაციის განვითარებას. ისტორიამ შემოგვინახა ცნობა ფაზისის მახლობლად III-IV სს-ში კოლხეთის აკადემიის არსებობის შესახებ; საყოველთაოდ ცნობილია გელათის და იყალთოს აკადემიები (XIს.) და მათი როლი. ქართველთა მონასტრები სინას მთაზე (VIს.) და პალესტინაში (Vს.), ათონზე (X), შავ მთაზე ანტიოქიის მახლობლად (XIს.) და პეტრიწში (XIს.) სწორედ ის ცენტრები იყო, სადაც ჩვენი ერის საუკეთესო წარმომადგენლები მოღვაწეობდნენ.

ქართული უნივერსიტეტის დაარსებამ ხელი შეუწყო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაშლას. უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ საქვეყნოდ ცნობილი ქართველი მეცნიერები. უნივერსიტეტს შემდგომში გამოეყო დამოუკიდებელი სასწავლო ინსტიტუტები: პოლიტექნიკური (1928წ.), სასოფლო-სამეურნეო (1929წ.), სამედიცინო (1930წ.), ქუთაისის პედაგოგიური (1933წ.), სადაც აგრეთვე მიმდინარეობდა კვლევითი სამუშაოები შესაბამის დარგებში.

საქართველოში ინტენსიური და მრავალმხრივი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა განსაკუთრებით განაპირობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსებამ (1941წ.), რომლის სისტემაში 14 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება შედიოდა. შემდგომში მათი რიცხვი გაიზარდა, შეიქმნა, აგრეთვე, დარგობრივი აკადემიები. აკადემიის მაღალი ავტორიტეტი მისი პირველი პრეზიდენტის, აკად. ნ. მუსხელიშვილის და აკადემიის წევრების მოღვაწეობამ შექმნა. საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების აკადემიებს შორის საქართველოს აკადემია პირველ ოთხეულში შედიოდა.

სამწუხაროდ, ბოლო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა დიდი ზიანი მიაყენა მეცნიერების განვითარებას საქართველოში, ხოლო წინა ხელისუფლების 9-წლიანმა „მოღვაწეობამ“ საერთოდ კატასტროფის წინაშე დააყენა მეცნიერების არსებობა საქართველოში; დაკნინდა აკადემიის როლი, ჩამოერთვა ინსტიტუტები, ზოგიერთი ინსტიტუტი გაუქმდა, ნაწილი შენობები გაიყიდა, ახალგაზრდობამ დაკარგა ინტერესი მეცნიერებისადმი, მეცნიერების ნაწილმა საზღვარგარეთს მიაშურა (სადაც მაღალი ავტორიტეტით სარგებლობენ). სამწუხარო როლი შეასრულა ამ მიმართულებით ზოგიერთმა ვითომ ჩვენმა უცხოელმა „მეგობარმა“ ჩინოვნიკმა (და არა მარტო ჩინოვნიკმა), რომლებიც გვმოძღვრავდნენ, რომ რა დროს ჩვენი მეცნიერებაა, რომ ჩვენ განვითარებადი ქვეყანა ვართ, პირველ რიგში მშიერ ხალხს პური უნდა ვაჭამოთ, რომ მეცნიერება ფუფუნებაა ჩვენთვის (!!) და ა.შ. და ეს „იდეოლოგია“ სახელმძღვანელოდ მიიღეს მაშინდელმა მთავრობის წევრებმა.

თავს ნებას მივცემ ამასთან დაკავშირებით მოვიყვანო ციტატა აშშ პრეზიდენტის ბ. ობამას გამოსვლიდან ამერიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კრებაზე 2009წ. 27 აპრილს. გააკრიტიკა რა ზოგიერთების აზრი მეცნიერების, როგორც ფუფუნების შესახებ, მან თქვა:

„მე კატეგორიულად არ ვარ ამის თანახმა. დღეს მეცნიერება, როგორც არასოდეს საჭიროა ჩვენი კეთილდღეობისათვის, ჩვენი უშიშროებისათვის, ჩვენი ჯანმრთელობისათვის, ჩვენი გარემოს შენარჩუნებისა და ჩვენი ცხოვრების ხარისხიანობისათვის“ (იქნებ ამ ჩვენმა „მეგობარმა“ ჩინოვნიკებმა თავისი პრეზიდენტის ეს სიტყვები წაიკითხონ?).

ჩვენმა საზოგადოებამ (განსაკუთრებით სამეცნიერომ) დიდი კმაყოფილებით აღიქვეს ქვეყნის მაშინდელი პრემიერ-მინისტრის, ბ-ნ ბ. ივანიშვილის მიერ გასული წლის 25 ოქტომბერს პარლამენტში გამოსვლის დროს გაკეთებული განცხადება, რომ „შემუშავდება სახელმწიფო პოლიტიკა მეცნიერების და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობის კუთხით. მეცნიერება გახდება ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის საფუძველი, მთავრობის პრიორიტეტების მიხედვით მნიშვნელოვნად გაიზრდება მეცნიერების დაფინანსება“. საზოგადოებაში გაჩნდა იმედი და ის მთავრობისაგან ელოდება ამ მიმართულებით კონკრეტული ღონისძიებების გატარებას. აქ ხანგრძლივი დაყოვნება არ შეიძლება, რომ ის პოტენციალი მაინც შევინარჩუნოთ, რაც ჯერ კიდევ გაგვაჩნია.

მეტად სწორად მოიქცა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ხელმძღვანელობა, რომ მოიწვია აკადემიის ღია საერთო კრება და მიიღო მიმართვა მთავრობისადმი. კრებას ესწრებოდნენ განათლების და მეცნიერების და ფინანსთა მინისტრები. მნიშვნელოვანი იყო კრებაზე ისიც, რომ მეცნიერებასთან ერთად განათლების საკითხზეც იყო საუბარი. ამასთან დაკავშირებით მოვიყვან გერმანელი მოღვაწის დორის შენკოს აზრს, რომ ნებისმიერი მეცნიერება დასაწყისშივე არის მასწავლებლებსა და მოწაფეებს შორის თანამშრომლობის პროცესი. ამიტომ ჩვენი წინაპრების ცოდნა ათვისებული, შენახული და შთამომავლობას გადაცემული უნდა იქნეს. ეს სწორედ სასწავლებლების ამოცანაა. ამიტომ სასწავლო პროცესი, განათლება, ცოცხალი მეცნიერების განუყრელი ნაწილია და მას ვერ მოვწყვეტთ კვლევის მეთოდების შემდგომი განვითარებისაგან.

მიგვაჩნია, რომ აკადემიის მიმართვა უნდა გახდეს სერიოზული მსჯელობის საგანი როგორც მთავრობაში, ასევე პარლამენტში. მთავრობა უნდა იყოს უპირველესი მხარდამჭერი ქვეყანაში მეცნიერების განვითარებისა. ქვეყნის პრიორიტეტებში მეცნიერების განვითარება უნდა იყოს ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი. მთავრობამ **დამოუკიდებლად** უნდა მიიღოს მეცნიერების განვითარების მრავალწლიანი (5 ან მეტი) პროგრამა, რომელიც დაყოფილი იქნება ეტაპებად. საბაზო ფინანსირება (რომელზეც აქცენტი იქნა გაკეთებული აკადემიის კრებაზე) და აკადემიის სტრუქტურა განსაზღვრული უნდა იყოს პირველივე ეტაპზე, შემდგომ ეტაპებზე ახალი ტექნოლოგიების განვითარება, შესაბამისი ტექნიკური ბაზის შექმნა და ა.შ.

ცხადია, პროგრამის შედგენა უნდა დაევალოს მეცნიერებათა აკადემიას. მასვე უნდა დაევალოს სამეცნიერო პრიორიტეტების განსაზღვრა დღევანდელ მდგომარეობაში მყოფი საქართველოსთვის. საამისოდ მიზანშეწონილად მიგვაჩნია აკადემიამ გააკეთოს სასწრაფო ანალიზი დღეისათვის რეალურად არსებული მდგომარეობისა მეცნიერებაში, სად ვიმყოფებით, სად ჩამოვრჩით და ა.შ.

მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ის გარემოება, რომ დღეს მსოფლიო დგას ახალი ტექნოლოგიური წყობის ზღურბლზე, რომელიც ხასიათდება ბიო და ნანოტექნოლოგიების, გენური ინჟინერიის, მემბრანული და კვანტური ტექნოლოგიის, ფოტონიკის, მიკრომექანიკის და თერმობირთვული ენერგეტიკის განვითარებით და გამოყენებით.

პროგრამაში უნდა აისახოს საუნივერსიტეტო მეცნიერების განვითარების საკითხებიც (კერძოდ, არსებული სამეცნიერო ლაბორატორიების და ცენტრების ფუნქციონირების აღდგენის საკითხი, რაც დიდ თანხებთან არაა დაკავშირებული).

მიზანშეწონილია აღდგეს მეცნიერების დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების სისტემა.

მთავრობამ აკადემიის წარდგენით უნდა განახორციელოს კარდინალური ცვლილებები მეცნიერების ორგანიზაციის, მართვის და დაფინანსების საკითხებში. ვფიქრობთ, რომ ამ საკითხების მოგვარება შედარებით ადვილად მოხერხდება, თუ მეცნიერებას მიეცემა ეკონომიკის დამოუკიდებელი საბაზისო დარგის სტატუსი, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით და ამ დარგს სათავეში უნდა ჩაუდგეს მეცნიერებათა აკადემია.

მეცნიერების განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ბიზნესის ჩართვა, როგორც ეს მრავალ სხვა ქვეყანაშია. ესეც მთავრობის ხელშეწყობით უნდა მოხდეს.

მთავარი მეცნერების განვითარების ღონისძიებების გატარების დროს არის ის, რომ მეცნიერების საკითხები მთლიანად მიენდოს მეცნიერებათა აკადემიას.

ამასთან დაკავშირებით სასარგებლოა ერთი მომენტის გახსენება: მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანელებმა გამოუშვეს წიგნი „მეორე მსოფლიო ომის შედეგები“. წიგნში გაანალიზებული იყო ომში გერმანიის დამარცხების მიზეზები. ერთ-ერთი სტატია ეხებოდა მეცნიერებისადმი მიდგომას იმ დროის გერმანიაში. აღნიშნული იყო, რომ მთავრობა მეცნიერების საკითხებში ერეოდა, მეცნიერება სათანადოდ არ ფინანსირდებოდა და სხვ. ამ ანალიზის შედეგად, ეს მომენტი დამარცხების ერთ-ერთ მიზეზად ჩაითვალა. გაკეთებული იყო დასკვნა — „Науку надо отдать ученым“, მაგრამ უკვე გვიან იყო. გერმანია ჩამორჩა ატომური ბომბის გაკეთების საქმეში. ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ ისტორიის გაკვეთილები მხედველობაში იქნეს მიღებული სათანადო სტრუქტურების მიერ.

**საქართველოში მეცნიერების განვითარება ქვეყნის განვითარების აუცილებელი პირობაა. საზოგადოებამ ეს კარგად უნდა გაიგოს და მხარი დაუჭიროს მეცნიერებას, გვერდით უნდა დაუდგეს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, რადგან დღეს საქართველოში სწორედ აკადემიაა ის სტრუქტურა, რომელიც ამ საქმეს სათავეში უნდა ჩაუდგეს (ველოსიპედის ხელახლა გამოგონება და სხვა რაიმე სტრუქტურების მოძებნა მხოლოდ ზიანის მომტანია).**

**აკადემიას უნდა დაუბრუნდეს ძველი ღირსება, დაუბრუნდეს ინსტიტუტები და შესაბამისად დაფინანსდეს. ის უნდა განვითარდეს, თუ არ გვინდა, რომ ჟოლიო-კიურის სიტყვები აგვიხდეს.**

**იმედია, ეს არ მოხდება.**

**რაფიელ ჩიქოვანი,**
პროფესორი, მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე

**◉ კაკალ გულში**

## წერტილოვანი ფრაზები

● დონდოლაძე დონდლოაო რო იძახით, კბილაშვილმა ხო დაბრდღვნა და დაკბინა ყველა ნაცი?

● როგორ უნდა ეცადო ხელისუფლება, რომ საფრანგეთში დანაშაულებით დახუნძლული კეზერაშვილის წინააღმდეგ გაუშვა ისეთი კადრი, რომელსაც არც ერთ კითხვაზე პასუხი არ ექნება, ვერ წარადგენს დაკავებულის ბრალეულობებს ფაქტებით სასამართლოს წინაშე და ფაქტობრივად ძალით გამოაშვებინებს ჩვეულებრივ კრიმინალს.

● მეც მომაპარინეთ 80 მილიონი. ელექტრობრასლეტსაც გავიკეთებ და კუსტარულ აშეინიკსაც თავის ელექტროდებით დამუხტული საყურეებით.

● ბიძინამ, მეტი იუმორით მიუდექით ნაციონალების უტიფრობასო(?!). მეტი რანაირი იუმორით მივუდგეთ? მეათე წელია, ჯამბაზებად ვიქეცით... დავცინით ბატონო და ალყას ვერ შემოვარტყამთ.




● პიტბულივით არი, ერთი თუ ჩაავლო ჟურნალისტს, კრიჭა ეკვრება — ვერ გააგდებინებ :)

● მოგესალმებით, ვაპირებ ჩამოვაყალიბო არასამთავრობო — „ამხანაგი“.

● მოწაფემ თქვა, მაშინაც არ ყინავდა ასე, ჩემზე ლექსი რო დაწერა ნიკო ლომოურმაო!

● ტელევიზორს შევხედე ორი წამით... თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი და გამოვრთე!

● მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი რამ გაუგებარია ჩემთვის რაც ხდება ჩვენს თავს, ერთი რამ ვიცი ზუსტად: სანამ ნაცმოძრაობას არ დავასამარებთ, მანამდე ამ ქვეყანას არაფერი არ ეშველება!

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძე**

**◉ წკეპლიკები**

## ჩვენი ტელესივრცე სიგრძე-სიგანით

„დიდი თურქობაა“ საქართველოში: თურქული კომპანიების აღზევება, ახლა კი ქართული ტელესივრცის დაპყრობა, განსაკუთრებით „მაესტროს“ არხზე.

„მაესტროზე“ წარმოდგენილი „სუბიექტური აზრი“ ჟესტიკულაციის თანხლებით ჟურნალისტური ოსტატობის დიდებული ნიმუშია, ხოლო „არგუმენტები“ არგუმენტების გარეშე — მიშას პროკურატურის ორეული?

„ნანუკას შოუ“ — წამყვანის ჩაცმულობის „მაღალი მოდის“ ჩვენებაა, გადაცემის შინაარსზე რომ არაფერი ვთქვათ.

ეგრეთ წოდებული „პროფილი“ ცრემლებით დანამული სიყვარულის ამბების მატიანეა.

ხომ არ აჯობებდა კავკასიის არხს „აქუს მონოლოგი“ დაერქვას?

**ლონდა მდივანი**

**საარსებო მინიმუმი**



# მშიერისათვის მიმატანინე პური!..

## კი არ ვცხოვრობთ, უბრალოდ, ვარსებობთ, თანაც ძალღუმადურად!

**როცა ქვეყნის მოსახლეობის სოციალური ყოფა სრულიად გაურკვეველი და გაუმართლებელი, ლამის საკონცენტრაციო ბანაკებისთვის გათვლილი კრიტერიუმებით გაითვალა, თანაც ათწლეულების მანძილზე, ეს მისი მთავრობის (უფრო სწორად კი არაერთი სამთავრობო გუნდის) ხალხის გაჭირვებისადმი უაღრესად გულგრილი, უკაცრავად და, ფეხებზე დამკიდებლური დამოკიდებულების თვალნათლივი მაგალითია.**

ადრეც არაერთგზის გვითქვამს და კვლავაც გავიმეორებთ, რომ სოციალურ დახმარებათა, შემწეობათა და შეღავათთა პაკეტი, რასაც მთავრობა ქვეყნის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებ თანამემამულეებს სთავაზობს, აშკარად არასაკმარისია, თანაც მათ გაზრდას და რეალურად საგრძნობი დახმარების ზღვრამდე მიყვანას, საშველი არა და არ დაადგა.

ხელისუფლების არაერთი წარმომადგენლის, მათ შორის, შრომის, ჯანმრთელობისა სოციალური დაცვის, ფინანსთა სამინისტროების, ასევე სახელმწიფო სტატისტიკური სამსახურის მაღალი რანგის ხელმძღვანელების, სხვა ჩინოსანთა გამოსვლებში არაერთხელ აღინიშნა, რომ **ქვეყანაში ჭეშმარიტ მოთხოვნებთან მაქსიმალურად მიახლოებული საარსებო მინიმუმის დათვლა საკმაოდ შრომატევადი სამუშაოა, რომელიც არაერთი პროფილის კვალიფიციური სპეციალისტის ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვს.**

მერედა, უკაცრავად, ვინ დაუშალა შესაბამისი პროფილისა და კვალიფიკაციის უწყებათა თანამშრომლებს ამ მიმართულებით მუხლჩაუდრეკელი და თავაუწეველი მუშაობა? კითხვა ადრეც არაერთგზის დაგვისვამს ჩვენს პუბლიკაციებში, მათზე პასუხი, დარწმუნებული ვართ, საზოგადოების უკლებლივ ყველა წევრს აინტერესებს, ყოველ შემთხვევაში იმათ მაინც, ვისაც ამ ყბადაღებული საარსებო მინიმუმისა და ყოველთვიური შემოსავლის ერთმანეთთან მაქსიმალურად დაახლოება სურს (ისე, კაცმა რომ თქვას, ეს მწირი სურვილიც ჩვენი სოციალური მენტალიტეტის საუცხოო მაგალითია!), მაგრამ, არა, **ხელისუფლება თავს იმართლებს — საარსებო მინიმუმის ახალი კრიტერიუმების შემუშავებაზე ახლა მკლავებდაკაპიწებული ვმუშაობთ, თუმცა, სოციალურ შემწეობათა და პენსიების გაზრდა, წლეულს მაინც, პროგრამაში არ არის, მერმის ვნახოთო.**

სამინისტროების მაღალ და საშუალო ჩინოსანთათვის, პარლამენტის დეპუტატებისა და თანამშრომელთათვის ხელფასების, დანამატების, „სხვადასხვა“ ხარჯის მოსამატებელი სახსრების წყაროს გამოძებნაზე კი თავის შეწუხებას არავინ ერიდება, თუმცა ამას რა დიდი ძებნა უნდა, აგერ ბიუჯეტი თავიანთ განკარგულებაში არაა?

ისე კი შეგახსენებთ, ბატონებო, რომ **სახელმწიფო სტატისტიკის სამსახური (საქსტატი) საარსებო მინიმუმს ყოველთვიურად მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე ადგენს, რომელიც ადამიანის სიცოცხლისა და შრომისუნარიანობის შესანარჩუნებლად ფიზიოლოგიურად საჭირო პროდუქტებს აუცილებელი ოდენობით შეიცავს.** მისი შემადგენელი ელემენტები კი, მათ შორის, ცხიმები, ცილები და ნახშირწყლები, ასევე კალორიულობა მინიმალური ოდენობითაა განსაზღვრული. საარსებო მინიმუმის სასურსათო კალათა 40 დასახელების პროდუქტს შეიცავს, ხოლო მისი ღირებულების 70 პროცენტი სასურსათო, ხოლო დანარჩენი 30 პროცენტი არასასურსათო პროდუქტების (ტანსაცმელი, სარეცხი და ჰიგიენის საშუალებები და ა.შ.) წილად მოდის. **ამ ორი მდგენელის შეკრებით მიღებული რიცხვი განსაზღვრულ თვეში შრომისუნარიანი მამაკაცისთვის საარსებო მინიმუმის ღირებულებას წარმოადგენს.** სხვების კი, ვთქვათ, ქალის, ბავშვის, ხანდაზმული ადამიანის, საარსებო მინიმუმი, ცხადია, ზრდასრული მამაკაცისაზე უფრო ნაკლებია.

ბოლო მონაცემებით, რომელსაც საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური ავრცელებს, **2014 წლის იანვრისთვის შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 155,1 ლარი იყო. გარდა ამისა, საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი 137,4 ლარის დონეზე დადგინდა, საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი 260,2 ლარით განსაზღვრება, რაც 2012 წლის დეკემბერთან შედარებით 6 ლარით უფრო მეტია.** აქვენ ჩვენთვის ერთობ საგულისხმო გარემოებას გვინდა მივაქციოთ ყურადღება, პატივცემულო მკითხველო. თუ ხანდაზმულობის პენსიის ცოტა ხნის გაზრდილ თამასასაც გავითვალისწინებთ, რომელიც, როგორც ვიცით, თვეში 150 ლარია, მაშასადამე გამოდის, რომ იმ 65 წელს გადაცილებულ მამაკაცებს, რომელთაგან დიდ ნაწილს შრომითი საქმიანობის გაგრძელება ძველებური შემართებით შეუძლია, საარსებო მინიმუმამდე, სულ მცირე, 5,1 ლარი მაინც აკლიათ, ხოლო თუ 30-თეთრიან სატრანსპორტო შეღავათს ვუგულებელყოფთ და მედიკამენტოზურ საშუალებებზე, ზოგადად სამედიცინო მომსახურებაზე გაზრდილ საჭიროებას გავითვალისწინებთ, ეს „ჩამორჩენა“ დიდ ორ და სამნიშნა ციფრებში ნამდვილად გადავა.

გარდა აღნიშნულისა, საქსტატი იმასაც გვამცნობს, რომ **ორი სულისგან შემდგარი ოჯახის არსებობისთვის აღნიშნულ პერიოდში საარსებო მინიმუმი 219,8 ლარს არ სჭარბობდა, სამი სულისგან შემდგარისა — 247,3 ლარი იყო, ოთხსულიანისა— 274,7 ლარი, ხუთსულიანისა — 309,1 ლარი, ექვსულიანისა და მეტისა (აი, ეგ ბოლო სიტყვა რამდენამდე იწელება, სიმართლე გითხრათ, არ ვიცით!)— 365,4 ლარი.**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საარსებო მინიმუმის ბოლოდროინდელ მაჩვენებელში, კერძოდ, **155,1 ლარში, სურსათზე 70 პროცენტი, ანუ 108,57 ლარი მოდის, ხოლო არასასურსათო საქონელზე (ვთქვათ, პალტოზე, ქურთუკზე, ფეხსაცმელზე, კომუნალურ გადასახადებზე, ტრანსპორტზე, წამლებზე და ა.შ.) — 46,53 ლარი.** ამის შემდგენ-დამდგენ-დამანგარიშებელი იმის ახსნას თუ შეძლებს, როგორაა შესაძლებელი ან კვება აღნიშნული თანხით ერთი თვის განმავლობაში, როცა ყველაზე იაფიანი 300-გრამიანი პური სულ მცირე 40-50 თეთრი, კილოგრამი კარტოფილი 1,5 ლარი მაინც, ხოლო ლობიო, სულაც, 4,5 ლარი ღირს (ზეთი, მწვანილი, ხახვი, გაზი ან დენი სათვალავში, ცხადია, არ შედის!), თავად არ უნდა აღირსო მეტის დახარჯვა საკუთარი პერსონის გამოსაკვებად და საპატრონოდ. ცოტა არ იყოს, ეს დედაბრულ წყევლას კი წააგავს, მაგრამ „იმ“ „საპარლამენტო“ სიტყვებს ისევ ასე თქმა გვირჩევნია!

რაც შეეხება საშუალო, ანუ ოთხკაციან ოჯახს, ამ შემთხვევაში არასასურსათო საქონელსა და მომსახურებაზე ხარჯი უკვე 82 ლარამდეა „გაზრდილი“, რაც თითოეულ წევრზე 20,5 ლარის კვოტას გულისხმობს. ამ შემთხვევაში ყოველგვარი კომენტარის გაკეთებისგან თავს შევიკავებთ. მარტივი გამრავლებით შეიძლება ვთქვათ, რომ **საქართველოში ზრდასრული მამაკაცის შრომისუნარიანობისა და სიცოცხლის შესანარჩუნებლად წლის მანძილზე 1861,2 ლარი, ანუ ათას დოლარზე ოდნავ მეტია საჭირო. ამასთან, აზერბაიჯანში ეს მაჩვენებელი 1595 დოლარია, სომხეთში — 1344 დოლარი, უკრაინაში — 1900 დოლარი, რუსეთში —2161 დოლარი, ბელარუსში —2467 დოლარი, თურქეთში —7140 დოლარი, ამერიკის შეერთებულ შტატქებში — 15 ათასი დოლარი...**

თუ რამხელა უფსკრულია შიმშილსიკვდილს შორის საქართველოში მიღებულ ზღვარსა და ცივილიზებულ ქვეყნებში მოსახლეობის ყველაზე დიდი პოტენციის მატარებელი ნაწილის მიმართ, ამ რამდენიმე სტატისტიკური მონაცემებიდანაც კარგად ჩანს. ამდენად, ჩვენს პარლამენტსა და მთავრობას დღე-ღამეში მშვიდად ძილის რა დრო უნდა ჰქონდეთ გამოყოფილი, ამის დადგენა თქვენთვის მოგვინდია, პატივცემულო მკითხველო.

**ოთარ ტურაბელიძე**

**აღიარება**

# მახარაშვილი „ბროდვეი გალერეაში“

**ამ დღეებში ნიუ-იორკიდან სასიხარულო შეტყობინება მიიღო მხატვარ-არქიტექტორმა, პროფესორმა თენგიზ მახარაშვილმა. მსოფლიოში ერთ-ერთი პრესტიჟული „ბროდვეი გალერეა“ მხატვარს იწვევს გამოფენის მოსაწყობად. ამასთანავე, ერთი წლის განმავლობაში მისი ნამუშევრები და ინფორმაცია დაიბეჭდება მრავალტირაჟიან ჟურნალ „ნიუ-იორკ.არტ მეგაზინ“-ში, ასევე შეიქმნება თენგიზ მახარაშვილის ინტერნეტ ვებ-გვერდი.**

„თქვენი ნამუშევრები ძალიან შთამბეჭდავია და ჩვენ დიდი სიამოვნებით გამოვფენთ მათ, ეს იქნება უნიკალური შესაძლებლობა, რომ წარმოაჩინოთ თქვენი შემოქმედება და მოიპოვოთ საერთაშორისო აღიარება“ — ნათქვამია მოწვევაში.

გამოფენა ნიუ-იორკში 4-დან 28 აპრილამდე ეწყობა და როგორც თენგიზ მახარაშვილმა გვითხრა, დარჩენილ დროში მრავალი ორგანიზაციული საკითხია მოსაგვარებელი, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მგზავრობისა და ნახატების ტრანსპორტირებისთვის საჭირო თანხების მოძიება. შემოქმედს დიდი იმედი აქვს, რომ გამოჩნდებიან ქართული ხელოვნების მეცენატები და როგორც წინათ, ახლაც დაეხმარებიან მას. ბატონი თენგიზის მიწვევის ფაქტი ხომ ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო მხატვრის პირადი, არამედ მსოფლიოს უდიდეს მეგაპოლისში, ნიუ-იორკში ქართული ხელოვნების წარმოჩენისა და აღიარების თვალსაზრისითაც.

მხატვრისთვის ეს მიწვევა ერთგვარი დამაგვირგვინებელი აკორდია იმ წარმატებებისა, რომელიც მას წინა წლებში ჰქონდა: პერსონალური გამოფენები პარიზში, ვენაში,რომში, ბერლინში, მოსკოვში, ლუქსემბურგში, ზაარბრიუკენში, კარლსრუეში, კაიზერსლაუტერში და თბილისის თითქმის ყველა გალერეაში. მისი ნამუშევრები მსოფლიოს 35-ზე მეტი ქვეყნის კერძო და სხვა კოლექციებში ინახება.

შარშან მნიშვნელოვანი იყო თენგიზ მახარაშვილის შთამბეჭდავი, 220-გვერდიანი, ქართულ-ინგლისური, ფერადი შემოქმედებითი ალბომის გამოცემა, რომლის დასტამბვაც „იუნესკოს“ დაფინანსებით განხორციელდა.

უაღრესად ნაყოფიერია თენგიზ მახარაშვილის, როგორც გამოცდილი არქიტექტორისა და პროფესორის მოღვაწეობაც. ამაზე მეტყველებს ბოლო წლების გამარჯვებები არქიტექტურულ კონკურსებში. მისი პროექტებით აშენდა ევროსტანდარტების შესატყვისი სკოლები ქ.ბორჯომში და კახეთის სოფელ ჯუგაანში. ამჟამად მიმდინარეობს სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლის მშენებლობა 1000 მოსწავლეზე. ნიჭიერი არქიტექტორისთვის ძალიან საინტერესოა ლანდშაფტის დიზაინის მიმართულებაც, რომელიც არქიტექტურის, ბუნებისა და მცირე ფორმების შემოქმედებითი ობიექტების შერწყმის დიდ შესაძლებლობებს იძლევა. ადგილობრივი ტრადიციების შემოქმედებითი მიდგომა იგრძნობა თენგიზ მახარაშვილის მიერ დაპროექტებულ და განხორციელებულ ლანდშაფტური დიზაინის გადაწყვეტები თბილისში, საგურამოში, წყნეთში, მცხეთაში, წავკისში და სხვ.

ამ თვალსაზრისით თენგიზ მახარაშვილი რამდენჯერმე იყო ჟურნალ „სტილის“ და არქიტექტორთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ ორგანიზებული კონ-



კურსის გამარჯვებული, ხოლო 2013 წლის ბოლოს კი მოიპოვა ამ კონკურსის პირველი პრემია და პრიზი — ოქროს კაპიტელი.

**უახლოეს მომავალში თენგიზ მახარაშვილის მთავარი საზრუნავი, ბუნებრივია, მსოფლიოს უდიდეს მეგაპოლისში ნიუ-იორკში დაგეგმილი გამოფენაა.**

**წარმატებები ვუსურვოთ ქართველ შემოქმედს, შესანიშნავ პიროვნებას, არქიტექტორთა მრავალი თაობის აღმზრდელს, ღირსეულ თანამოქალაქეს!**

**სპარტაკ ქობულია**

ყაზახეთი-საქართველო

# „თუ ერი საკუთარ კულტურულ კოდს კარგავს...“

**ქართველებს უძველესი დროიდან ჰქონდათ ინტენსიური ურთიერთობები იმ ხალხებთან, რომლებიც საქართველოს მეზობლად — ჩრდილო კავკასიასა და კასპიისპირეთში მოსახლეობდნენ. მათ შორის იყვნენ ყივჩაღებიც, რომელთა ნაწილიც აქტიურად მონაწილეობდა თანამედროვე ყაზახი ხალხის ჩამოყალიბებაში.**

XII საუკუნის პირველ მეოთხედში ქართველებსა და ყივჩაღებს შორის მჭიდრო ურთიერთობა და თანამშრომლობა ჩამოყალიბდა. ეს სიახლოვე დინასტიური ქორწინებითაც განმტკიცდა.

საქართველოს გაერთიანებული სამეფოს უდიდესმა მეფემ დავით IV აღმაშენებელმა (მეფობდა 1089-1125 წლებში) 1118 წელს ცოლად მოიყვანა ყივჩაღთა მთავრის ათრაქა შარაღანის ძის ასული — გურანდუხტი. მათ შეეძინათ უფლისწული ვახტანგი (იგივე ცვატა), რომელიც მეფის უმცროსი ვაჟი იყო.

დავით აღმაშენებელმა კარგად იცოდა, რომ ყივჩაღები შესანიშნავი მეომრები იყვნენ. ამის გამო, მისი ინიციატივით საქართველოში გადმოსახლდა 40 ათასამდე ყივჩაღური ოჯახი. მეფემ ისინი ძირითადად საზღვრისპირა რეგიონებში დაასახლა და ქვეყნის დაცვა დაავალა.

1121 წლის 12 აგვისტოს, დიდგორის ველზე მომხდარ ბრძოლაში დავით აღმაშენებელმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. საგულისხმოა, რომ ამ ბრძოლაში გამარჯვებული საქართველოს ლაშქრის მეოთხედზე მეტს ყივჩაღები შეადგენდნენ. ეს ნიშნავს, რომ ყივჩაღები ქართველი მეფის ნდობით სარგებლობდნენ.

ქართულ-ყაზახური ურთიერთობის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია გამოჩენილი ყაზახი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტ მუსტაფა შოკაის (1890-1941) სიახლოვე XX საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ქართულ პოლიტიკურ ელიტასთან.

1919-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა მუსტაფა შოკაი. მას შემდეგ, რაც ბოლშევიკურმა ჯარებმა დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაცია მოახდინეს (1921 წლის თებერვალი-მარტი), მუსტაფა შოკაი, ქართულ პოლიტიკურ ელიტასთან ერთად ემიგრაციაში წავიდა. ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებთან მეგობრულ ურთიერთობას და თანამშრომლობას იგი დასავლეთ ევროპაშიც აქტიურად განაგრძობდა.

1991 წლის დეკემბერში დაიშალა საბჭოთა კავშირი. მის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის აღმოჩნდნენ ყაზახეთი და საქართველო.

ამიერიდან მათ შორის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა დამყარდა. გაიხსნა საელჩოები.

ყაზახეთმა საქართველოში რამდენიმე მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროექტი განახორციელა.



უკანასკნელი 23 წლის განმავლობაში დადასტურდა, რომ ყაზახეთი არის ერთ-ერთი უპირველესი იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებულნი ერთიანი, განვითარებული საქართველოს სახელმწიფოს არსებობით და მასთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ყაზახეთის დიდი მიღწევები ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობისა და ეკონომიკური აღმავლობისაკენ მიმავალ გზაზე. ყოველივე ამაში გადამწყვეტი წვლილი შეიტანა ყაზახი ხალხის ლიდერმა, პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა. სწორედ მისი გონივრული, გაწონასწორებული პოლიტიკის წყალობით, ყაზახეთი წარმოადგენს პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად განვითარებად ქვეყანას — უზარმაზარი ბუნებრივი რესურსებითა და პოტენციალით.

პრეზიდენტ **ნურსულთან ნაზარბაევის** ნაშრომი **„სტრატეგია ყაზახეთი — 2050“,** რომელიც ახლახან ქართულ ენაზეც გამოიცა, წარმოადგენს ყაზახეთის სახელმწიფოს ლიდერის მიერ განსაზღვრულ ახალ პოლიტიკურ კურსს.

ზემოხსენებულ წიგნში წამოყენებულ მრავალ მნიშვნელოვან საკითხებს შორის, ჩემს, როგორც ქართველი მეცნიერის, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ყაზახეთის პრეზიდენტის მიერ საკუთარი ხალხისადმი დაწერილი მიმართვის შემდეგი ნაწილი:

**„არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დროის გამოწვევებზე ადეკვატურ რეაგირებას მხოლოდ იმ პირობით მოვახდენთ, თუ შევინარჩუნებთ ჩვენს კულტურულ კოდს: ენას, სულიერებას, ტრადიციებს და ფასეულობებს... თუ ერი კარგავს საკუთარ კულტურულ კოდს, მაშინ თვითონ ერიც გადაშენდება. ამის დაშვება არ შეიძლება!**

**მჯერა, რომ ჩვენი ღირსეული ისტორია და დიდებულ წინაპართა ხსოვნა დაგვეხმარება მომავალი სირთულეების დაძლევაში. ისტორია მოწმეა — გასაჭირის დროს, ჩვენი ხალხი ყოველთვის ერთიანდებოდა და ყველა ბედის უკუღმართობას საკუთარ გამარჯვებად აქცევდა“.**

ვფიქრობ, რომ ზემოთ მოყვანილი სულ რამდენიმე წინადადებიდანაც კი ნათლად იკვეთება საკუთარ ხალხზე მზრუნველი, გონიერი და შორსმჭვრეტელი ლიდერის ჭეშმარიტი სახე.

ვისურვებდი, რომ ყაზახი ხალხი დახმარებოდეს თავიანთი ქვეყნის პრეზიდენტს მის მიერ დასახული ახალი პოლიტიკური კურსის წარმატებით რეალიზებაში, რაც სხვა სახელმწიფოებისათვისაც მისაბაძი მაგალითი გახდება.

ასევე ვისურვებდი საქართველოსა და ყაზახეთს შორის არსებული თანამშრომლობის განმტკიცებასა და გაღრმავებას, რაც ჩვენს სახელმწიფოებს ფრიად საიმედო პერსპექტივებს უსახავს.

**ნიკო ჯავახიშვილი,**

**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი**

გიხაროდენ...

# მიშა ამერიკელებს დემოკრატიას ასწავლის!

**ამერიკაში სააკაშვილის დასაქმების შესახებ პირველი „ნიუსი“ ჯერ კიდევ 2008 წლის დეკემბერში „გაჟღერდა“. იმ დღეებში პლანეტას სენსაციურმა ცნობამ გადაურბინა: სააგენტო „რია ნოვოსტი“ იტყობინებოდა, რომ ჯორჯ ბუში პრეზიდენტობიდან წასვლის შემდეგ აპირებდა დალასში „თავისუფლების ინსტიტუტის“ დაარსებას, სადაც მსოფლიოსთვის მომავალი უცხოელი ლიდერების მომზადების მიზნით, ლექციების წასაკითხად მიიწვევდა ისეთ ცნობილ პოლიტიკოსს, როგორიც გახლავთ მიხეილ სააკაშვილი. ამერიკის მაშინდელ პრეზიდენტს ეს ოცნება-ჩანაფიქრი შეუსრულებელი დარჩა (სამაგიეროდ, მიშამ იყოჩაღა და თბილისელებს ჯორჯ ბუშის სახელობის ქუჩა გვაჩუქა), მაგრამ სააკაშვილის გამეცნიერების იდეამ, როგორც ჩანს, ახალ ამპლუაში ამოყო თავი: ახლახან კვლავ გამოჩნდა ცნობა, რომ ბოსტონში ფლეტჩერის სკოლაში, ნაპრეზიდენტალი მიხეილ სააკაშვილი მიწვეულია ლექციების წასაკითხად.**

ამ სენსაციურ „ნიუსთან“ დაკავშირებით, აზრის გამოთქმა ვთხოვეთ ცნობილ საერთაშორისო ექსპერტსა და პოლიტოლოგს, ბატონ სოლომონ ციცვაძეს.

— ბატონო სოლომონ, ალბათ, თქვენც შეიტყობდით, მიხეილ სააკაშვილი საქართველოში ცხრაწლიანი აღმშენებლობითი ღვწის შემდეგ დაუბრუნდა თავის მეორე სამშობლოს — ამერიკას, სადაც მან ადრეულ ასაკში სუპერატლანტიკური განათლება მიიღო და ცნობილ ფლეტჩერის სკოლაში შეუდგა ლექციების კითხვას.

— ნამდვილად მისასალმებელი ამბავია, ვულოცავ მას ამ დიდ წარმატებას, რაც, ჩემი აზრით, არა მარტო სააკაშვილის ნაღვაწის დაფასება, საქართველოს დიდი აღიარებაც გახლავთ, რომელმაც ნაცების მმართველობის წლებში რეფორმატორული გარდაქმნებისა და დემოკრატიული აღმშენებლობის პიკს მიაღწია.

— ამას დღეს მთელი დემოკრატიული სამყარო აღიარებს, ბატონო სოლომონ, თუმცა, როგორც სააკაშვილის სატელევიზიო გამოსვლებიდან შევიტყვეთ, დიდ სახელმწიფოებრივ ღვწას მისი პირადი კეთილდღეობისთვის მაინც და მაინც ბევრი არაფერი მოუტანია. ჯერჯერობით პოლიტიკაში დაბრუნებას აღარ ვაპირებ, — განაცხადა სევდანარევი ღიმილით ნაპრეზიდენტალმა, — მაგრამ ოჯახს რჩენა უნდა, შვილების სწავლა-აღზრდას — ფული, ამიტომ მუშაობა აუცილებელიაო.

— აი, ხომ გამოჩნდა, სააკაშვილი რეალურად რა სიმდიდრის პატრონიც არის. არადა, რა ჭორებს აღარ აგორებდნენ, მიშამ პრეზიდენტობის წლებში იმდენი ფული დააგროვა, საზღვარგარეთის ბანკებში ველარ ეტევაო. სააკაშვილის პირლიაობის ამბავი ყველამ ვიცით, მაგდენი ფული რომ ჰქონოდა (ლაპარაკია 13 მილიარდზე), მსოფლიოს ტრაბახით აიკლებდა, ეგ საკუთარ სექსუალურ კომპრომატებს არ მალავდა და ფულს დამალავდა? მართლა მილიარდერი რომ იყოს, ახლა შვილებისთვის სწავლის ფულის შესაგროვებლად ლექციების წაკითხვით თავს რატომ აიტკიებდა?

— მეც ეგ ვიფიქრე, ერთგვარად შემეცოდა კიდეც უკაპიკოდ დარჩენილი მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული ლიდერი, მაგრამ მომეწონა, რომ ამ სტრესულ სიტუაციაშიც კი თავი მაინც ვაჟკაცურად უჭირავს.

— არა მარტო ვაჟკაცურად, მე ვიტყოდი, ღირსეულადაც უჭირავს თავი. თუმცა, სულაც არ არის გასაკვირი მისი ასეთი მედიდურობა მას შემდგე, რაც რუსეთ-საქართველოს ფაქტობრივად წაგებული ომიდან რეალურად გამარჯვებული გამოვიდა, ხოლო შემდეგ „ცოცხებისა“ და „ტრუპების“ გახმაურებული საქმიდან — აბსოლუტურად „მშრალი“. ასეთი სირთულიდან თავის დაძვრენის მსგავს ფაქტებს მსოფლიო ისტორიაში ანალოგი არ მოეძებნება.

— აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სააკაშვილის ამერიკაში დაწინაურების შანსი რეალურია?

— წინასწარ რაიმეს თქმა ძნელია, მაგრამ თავად ფაქტი, რომ გლობალური კრიზისის ამ გაწამაწიის ჟამს ჩვენი პატარა ქვეყნის ნალიდერალი მსოფლიო მოვლენების ეპიცენტრში მოექცა, თავისთავად უკვე დიდი საქმეა.

— ჰო, რა თქმა უნდა, ამას ვერ უარვყოფთ, თუმცა, ფაქტია, რომ მიშას ეპიცენტრი და შადრევნები არც საქართველოში აკლდა.

— ეგ ნამდვილად ასეა, მაგრამ ამჯერად სურლიად განსხვავებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. აბა გაიხსენეთ, თავის დროზე შევარდნაძის ამერიკაში დაწინაურებაზე ვინმე იოცნებებდა?

— შევარდნაძეს ამის პრეტენზია არც ჰქონია, ჩემო ბატონო, მას ამერიკული მართვის სკოლა არ გაევლო და ასე თუ ისე მაინც რეგიონული მნიშვნელობის პოლიტიკოსად ითვლებოდა.

— მეც მანდა ვარ, სულ სხვა საქმეა სააკაშვილი, რომელმაც ევროატლანტიკური უნარჩვევები ბრწყინვალედ აითვისა და ერთბაშად მსოფლიო დემოკრატიის შუქურად მოგვევლინა.

— მართალი ხართ, ბატონო სოლომონ, სააკაშვილის შუქურობას ვერ უარვყოფთ, მაგრამ ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ცოტა „იაღლიში“ ხომ არ მოუვიდა, როცა საქართველოში დემოკრატიის ნაცვლად „დიქტატუროკრატია“ ააშენა? ჰოდა, ცოტა უხერხული ხომ არ იქნება, დიქტატორმა ლიდერმა ამერიკაში დემოკრატიაზე ლექციები წაიკითხოს?

— საქმეც ეგ არის, ჩემო კარგო, რომ ლექციები აქ კი არა, ამერიკაში უნდა წაიკითხოს.

— მაგით რისი თქმა გინდათ?

— მარტივი ამბავია. ამერიკელებს დემოკრატია კარგა ხნის აშენებული აქვთ და სხვაგან, კერძოდ, საქართველოში მას სააკაშვილი როგორი ხარისხით აშენებდა, სულაც ცალ ფეხზე ჰკიდიათ. რაც შეეხება თავად დემოკრატიის მშენებლობის თეორიას, ამ მხრივ მეზღაპრეობასა და ილუზიების თხზვაში, მერწმუნეთ, სააკაშვილს მთელ მსოფლიოში ბადალი არ მოეპოვება. ამის დასტურად გამოდგება თუნდაც საქვეყნოდ გახმაურებული კოჰაბიტაცია, რომელიც სააკაშვილის მაღალი დემოკრატიულობის ნიშნად ცივილიზებულმა ევროპამ საქართველოს მხსნელად მოუვლინა.

— ყველაფერი სარკესავით ნათელია, ბატონო სოლომონ, ოღონდ ერთი რამ მაინც დარჩა გაურკვეველი: არჩევნებში დამარცხებული ნაცმოძრაობა თავისი ბელადის ამერიკაში დაწინაურებას ვითომ შეეგუება?

— არა, დანამდვილებით ვიცი, რომ ვერ შეეგუება. დარწმუნებული ვარ, ობამა მალე მიიღებს ქართველი ნაცებისგან გაგზავნილ ოფიციალურ მოთხოვნას: ბატონო პრეზიდენტო, გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩვენი მოძრაობის მსოფლიო დემოკრატიის წინაშე უდიდესი დამსახურება და უკანვე დაგვიბრუნოთ ამ მოძრაობის სწორუპოვარი და შეუცვლელი ლიდერი მიხეილ სააკაშვილი. ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ მას ჩვენთან ეკონომიკურად ან ზნეობრივად რაიმე გაუჭირდება. მართალია, ახალმა ხელისუფლებამ საქართველოში დღემდე ერთი კაციც ვერ დაასაქმა, მაგრამ ჩვენ აქაურ ბიზნესთან ისევ ძველებურად ვძმაკაცობთ და გარანტიას ვიძლევით, რომ სააკაშვილს ამ საქმიდან კეისრის წილი არ მოაკლდება.

— მაგრამ ისიც საინტერესოა, ამ შემთხვევაში რუსეთი რა პოზიციას დაიკავებს?

— მაგათი ამბავი ხომ იცი, ასეთ დროს რას მოიმოქმედებენ თვით ლელა კაკულიაც კი ვერ იწინასწარმეტყველებს. ამიტომ, არ გაგიკვირდეთ, პუტინმა ობამას ჯიბრზე „ტოტალიტარიზმის ინსტიტუტი“ გახსნას და იქ ლექციების წასაკითხად ლუკაშენკოსთან ერთად სააკაშვილიც მიიწვიოს.

— მართალი ბრძანდებით, — დავეთანხმე ექსპერტს, — პუტინი ჭკვიანი პოლიტიკოსია და მშვენივრად უწყის, რომ დემოკრატიის მშენებლობის სააკაშვილისეული გამოცდილება რუსულ ტოტალიტარიზმს უფრო მოერგება, ვიდრე მსოფლიოში გახმაურებულ ამერიკულ დემოკრატიას.

**ოთარ ხუციშვილი**

**ქართული სამეცნიერო თარო კიდევ ერთმა წიგნმა დაამშვენა. ქართულ იურისპრუდენციას კიდევ ერთი აღმატებული ნაშრომი შეემატა. ქართულ იურიდიულ მეცნიერებას კიდევ ერთმა აზროვნებამ შეუწყო ხმა.**

**ეს გახლავთ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დეკანის და გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორის, ბატონ გივი ლობჟანიძის სქელტანიანი ნაშრომი „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი“. სამართლის ამ სფეროში ქართველი სამართალმცოდნენი არავის ჩამორჩებიან, მაგრამ გ. ლობჟანიძის წინამდებარე შრომა სრულიად ახალი მოვლენაა თავისი საჭიროებით, მიმართულებით, მიზნით, აზრობრივი ქსოვილით. ეს თემა თავისი პრობლემატურობით თვალუწვდენელია, და, ალბათ, ამდენადვე ძნელად დასაძლევი, მაგრამ ბატონმა გივიმ ამ სფეროში არსებული მასალა და ცოდნა მეტად მუყაითად, ამომწურავად გააერთიანა, შეასისხლხორცა და მიართვა მკითხველს.**

* * *

დიდი ფიქრი სჭირდება ადამიანს იმისათვის, თუ როგორ გაართვას თავი სიცოცხლეს, ყოფას, ცხოვრებას. მან ჯერ კიდევ სრულად ვერ გააცნობიერა, როგორ იცხოვრებდა, რომ ომის მზადებისა და წარმოებისათვის არ ფლანგავდეს, არ ანადგურებდეს სიცოცხლეს თუ აღუწერელ მატერიალურ სიკეთეს. თანამედროვე კაცობრიობას გონებაში იმანაც კი გაუელვა, რომ ომები, ალბათ, ღვთის სამართალია, როგორც სამართლის ერთ-ერთი მაწონასწორებელი ბერკეტი... ავტორმა გარდასულ ისტორიულ სივრცეებშიც ღრმად შეაღწია და იქაც მოიპოვა ადამიანის წყურვილის გამომხატველი მასალები ომის საშინელებათა შემცირების შესახებ. იგი გულდასმით იხილავს თვით ომებით დაუღლელ მხედართმთავართა გამონათქვამებს ომის საშინელებისა და ადამიანთა შებრალების თაობაზე. ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელმა, როდესაც ომის ხშირი, გარდაუვალი საშინელება მძვინვარებდა, ჰუმანურობის დაცვის მიზნით აკრძალა ბრძოლის დროს მოპოვებული ალაფისა და ტყვეების მეომრებს შორის განაწილება. ასეთ ქვეყანასა და ასეთ ხელმძღვანელობას შეუძლებელია არ ჰქონოდა ომის კანონები, იგივე ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა მსგავსი ჩვეულებები, — ამბობს ავტორი. იქვე იგონებს ყურანსაც, სადაც ნათქვამია: იომე ალაჰის სახელით იმათ წინააღმდეგ, ვინც შენს წინააღმდეგ იბრძვის, მაგრამ ნუ იქნები აგრესიული, ალაჰს არ უყვარს აგრესია.“

ქართველ ხალხს, რომელიც მრავალი ომის გადამტანია, ჰუმანიზმის მაცოცხლებელი ძალა არც ბრძოლის ველზე და არც ტყვეთა მიმართ არ გამორჩენია მხედველობიდან. სწორედ ამის ექოა ქართველი დედის ცრემლიანი წუხილი, ფართო საზოგადოების სულსა და გრძნობას რომ გამოხატავს და ეს გახლავთ ხალხური თქმულება „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“, სადაც, მხეცი და ადამიანი ურთიერთბრძოლაში შეაკვდნენ ერთმანეთს და მოყმის დედამ რაოდენ იმწუხრა ვეფხვის დედის მწარე ცრემლი. „იქნება ვეფხის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა, წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა შვილისა“.

თვით მხედართმთავრებიც არ იყვნენ გულგამეხებულნი დამარცხებულთა მიმართ. ყველას კარგად გვახსოვს დიდი სარდლის თორნიკე ერისთავის სიტყვები: „გზას ნუ გაუკრავთ გაჭირვებულებს, დაე გაიქცნენ, მიეცით ნება“. შემდეგ კი უთითებს: „ვეცადოთ ყველა, ნუ დავაკლებთ დაჭრილებს მოვლას და მკვდრებს სამარეს“.

ციცერონიც კი, რომელსაც ხალხთა დაპყრობა-დამონება სრულიად ნორმალურ მოვლენად მიაჩნდა, უარყოფს, როცა ნადგურდება ქალაქები, მშვიდობიანი მოსახლეობა, ტაძრები და ა.შ.

თვით ალექსანდრე მაკედონელი მტკიცედ ითხოვდა თუნდაც მოკლული მტრის ღირსების დაცვას. ყოველივე ეს და სხვა უამრავი მსგავსი, მიანიშნებს იმას, რომ ჰუმანიზმის ფესვები შორს არის გადგმული ისტორიის სიღრმეში და იგი საზოგადოების საწყისებიდან მომდინარეობს.

XIX საუკუნეში წარმოიშვა ჰუმანიტარული სამართალი. მართალია, კაცობრიობამ ომების სრული შეწყვეტისათვის ვერ გამონახა საშუალება, მაგრამ უფრო კანონიერი ომების წარმოებისაკენ რომ აიღო გეზი, ესეც კარგი მიღწევაა, აქედან უკვე ნათელია, რომ კაცობრიობას ჯერ კიდევ არ შეუძლია ცხოვრება კონფლიქტების გარეშე, მაგრამ დღევანდელი საუკუნე მაინც ის პერიოდია, როდესაც დედამიწის ძალმოსილი სახელმწიფოები აქტიურად ჩაებნენ იმ საქმიანობაში, რასაც ომების შემცირებისა და ცალკეული მათგანის „მოთვინიერება“ ჰქვია.

ნაშრომის პირველ თავში ავტორი ზედმიწევნით დახვეწილად განმარტავს: **„ჰუმანიტარული სამართალი არის მსოფლიოს ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთობა მომწესრიგებელი ნორმების, ინსტიტუტების, მექანიზმების და პრაქტიკის მთელი სისტემა, სამართლებრივი ნორმების ის ურთიერთობა, რომელიც აზუსტებს და განსაზღვრავს ადამიანთა საყოველთაო სახელმწიფოებრივ მოვალეობებს, საერთაშორისო კონვენციების დამატებითი ოქმების და დოკუმენტების მოთხოვნათა შესრულებაში. იგი, როგორც სამართლის მნიშვნელოვანი დისციპლინა, შეიმუშავებს ძირითად მიმართულებებს, სასიცოცხლო ურთიერთობებს და აგრძელებს თავისი არსებობისა და განვითარების ისტორიას“.**

ავტორი განსაკუთრებული სიფრთხილით განიხილავს სამართლის წყაროებს, პრინციპებსა და სისტემას. ეს ის შემადგენელი ნაწილებია, რომელმაც საერთაშორისო სივრცე გადააქცია სამეცნიერო სასწავლო საგნად და რომლის ესოდენ ღრმად შესწავლის საკითხი კაცობრიობის განვითარების დრომ მოიტანა, ხოლო მოქმედების ძირითადი მიზნები კაცობრიობის მიზნებმა განსაზღვრა. იგი ეყრდნობა იმ მასალას, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან საერთაშორისო ხელშეკრულებების, კონვენციების, ოქმების, ადათ-წესების სახით მიაწოდეს სახელმწიფოებმა აგრესიული ომების შეწყვეტის იდეას.

ავტორი ჰუმანიტარული სამართლის გნოსეოლოგიური ფესვების განხილვის დროს მეტად საინტერესო მოსაზრებებს სთავაზობს მკითხველს. მიუხედავად იმისა, რომ მრავალთა აზროვნება მიმართულია იქითკენ, რომ თითქოს ძველ ომებს არ გააჩნიათ არავითარი წესი და რიგი, ავტორი არ იზიარებს ამ მოსაზრებებს და მრავალი არგუმენტით ადასტურებს თავის მშვენიერ გამოთქმას: „ჰუმანიტარული სამართლის ნორმები მშვილდ-ისართან ერთად გაჩნდა კაცობრიობის ისტორიაში“. ამის დასტურად მრავალი მაგალითი მოჰყავს, კერძოდ: სამასი სპარტელის, ორასი დიდგორელის და თვით დემეტრე თავდადებულის გმირული ისტორიიდან, როცა მეფემ თავისი სიცოცხლე გასწირა ომისა და ხოცვა-ჟლეტის თავიდან ასაცილებლად, აქვე იხსენებს ძველი ჩინეთის სამხედრო მოღვაწის სუნ ძის ტრაქტატს, სადაც ნათლად ჩანს სარდლისა და სამხედრო თეორეტიკოსის მეომარი სული და ისიც, რომ იგი მაინც მშვიდობას ქადაგებს და ხშირად მიანიშნებს ომის მსხვერპლთა დაცვის მექანიზმებზე და სისასტიკის დაგმობაზე. ავტორი შემდეგ იხილავს ომის სამხედრო მანქანას და მის ჰუმანურ იდეებს. ცალკე თავი მიეძღვნა საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ გენოციდსა და ეთნოწმენდის დანაშაულებრივ ქმედებებს, მათ




# სახელმძღვანელო საერთაშორისო სამართლის საკითხებზე

სახეობებს, არამოქალაქეობრივ მიდგომებს, რითაც დანაშაულებრივად დაირღვა ჰუმანიტარული კონვენციის მოთხოვნები.

სახელმძღვანელოს მეხუთე თავში ავტორმა საფუძვლიანად განიხილა ამერიკის შეერთებული შტატების 1863 წლის 24 აპრილის ლიბერის კოდექსი. ლიბერის ავტორიტეტს ომის კანონების სფეროში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის თანამედროვეობაში, რომელიც შეუფერხებლად ვრცელდებოდა ევროპაში. მისი იდეები ფართოდ აისახა სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო სახელმძღვანელოებში, სადაც გაშუქებული იყო მოთხოვნები ომის წარმოების წესების დაცვის შესახებ.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს VI თავი, სადაც ჟენევის 1864 წლის 22 ავისტოს კონვენციის ფონზე განისაზღვრა ომების დროს დაჭრილ და ავადმყოფ მეომართა ხვედრის გაუმჯობესების საკითხი, იგი კრძალავს ადამიანის სიცოცხლის მოსპობას, გარდა საომარი მოქმედებების მიმდინარეობისას. ავტორი პირდაპირ განმარტავს, რომ **„ომის მსხვერპლის ცნებაში მოიაზრება ყველა ის ადამიანი, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევაში რაიმე ფორმით ზარალდება“**. რაც შეეხება ტერმინს

## ჰუმანიტარული სამართლის ნორმები მშვილდ-ისართან ერთად გაჩნდა კაცობრიობის ისტორიაში.

„ომის მხვერპლი“, იგი პირველად იქნა შემოტანილი პრაქტიკაში 1949 წლის აპრილში, ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ კონვენციის დამუშავების დროს. ეს დოკუმენტი არამარტო სამართლებრივ ვალდებულებას ქმნის, არამედ წარმოადგენს ადამიანური სითბოს, სიყვარულის, მაღალზნეობრივ წარმონაქმნს, რომელიც უფლის მიერ არის კოდირებული ადამიანის გონში.

ავტორი ჯეროვანი ყურადღებით იხილავს სამხედრო ტყვეების სამართლებრივ სტატუსს, რომელიც 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციამ ჩამოაყალიბა და რომელიც ითვალისწინებს ტყვეთა ნორმალურ საყოფაცხოვრებო პირობებს.

VII თავში ავტორი იხილავს სამოქალაქო მოსახლეობისა და სამოქალაქო ობიექტების დაცვას, რადგან შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში ისინი ყველაზე უფრო ხშირად განიცდიან ომის მძიმე შედეგებს იმ დროს, როდესაც მათ არავითარი კონტაქტი არ აქვთ საომარ საქმიანობასთან. ამის დასტურად ავტორი მოიშველიებს ჰანს პიტერ გასერის აზრს, სადაც იგი ამბობს რომ „სამოქალაქო მოსახლეობა საომარ მოქმედებათა შედეგებისაგან ძირითადი დაცვის ობიექტია“.

ავტორმა ანალიზი გაუკეთა სხვადასხვა ომს და გამოვლინდა, რომ ანგარიშს არ უწევდნენ სამოქალაქო მოსახლეობას და ცალკეულ სამოქალაქო პირებს, არ გამხდარიყვნენ ომის მსხვერპლი, რითაც მივედით იმ შედეგებამდე, რომ პირველ მსოფლიო ომში სამხედრო დანაკარგები შეადგენდა 95%, ხოლო საერთო დანაკარგები სამოქალაქო მოსახლოებაში — 48%-ს. მშვიდობიანი მოსახლეობის დანაკარგების ზრდის ტენდენციას ადგილი ჰქონდა შემდგომ ომებშიც. კერძოდ, კორეის ომის დროს სამხედრო დანაკარგებმა შეადგინა 96%-ი, ხოლო სამოქალაქომ 84%-ს მიაღწია, ისრაელის ომის დროს ლიბიაში სამოქალაქო მოსახლეობის მსხვერპლის ხვედრითი წილი გაიზარდა 95%-მდე. ამავე თავში ავტორი იხილავს დოკუმენტებს, რომლებიც 16 წლამდე მიუღწეველ ბავშვებს იცავს საომარ მოქმედებებში მონაწილეობისაგან, ხოლო 18 წელს მიუღწეველს — სასჯელის უმაღლესი ზომისაგან, ასევე აკრძალულია სამოქალაქო მოსახლეობის ფიზიკური და მორალური მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცევა, ტერორიზმი და სხვ.

ავტორმა საოცარი სიზუსტით გააკეთა იმ კანონთა თანმიმდევრული კოდიფიკაცია და სისტემური დალაგება, რომელიც ეხება კონკრეტულ ფასეულობათა დაცვას შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში. ამ დიდი საქმის დოკუმენტთაგან ავტორმა მოიშველია 1935 წლის 15 აპრილს ვაშინგტონში ხელმოწერილი „პერიხის პაქტი“, რომლის შესაბამისადაც კულტურული ფასეულობები, როგორც საომარი მოქმედებების, ასევე მშვიდობიანობის დროს საიმედოდ უნდა იქნეს დაცული. აქვე განხილულია ჰააგის 1954 წლის 14 მაისის კონვენცია და სხვა შესაბამისი საერთაშორისო დებულებები, რომლითაც აკრძალულია მტრული მოქმედებების განხორციელება ხელოვნების ნიმუშების, ღვთისმსახურების ადგილებისა და სხვა ობიექტების მიმართ. ავტორი საფუძვლიანად განიხილავს იმ კულტურულ ფასეულობებს, რომელთა არსებობა და მშვენიერების შემცველობა საკაცობრიო ღირსებისაა.

IX თავში ავტორი წინა პლანზე აყენებს ბუნების მშვენიერების ხელშეუხებლობას, რომელსაც თითქმის აღარ ინდობს ტექნიკის გამალებული წინსვლა და ასკვნის, რომ თუ **„მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების შედეგად ადამიანის მიმართ ძალადობის შემცირება დაიწყო, ამავე მიზეზით გაიზარდა ძალადობა ბუნებაზე, ამიტომ საჭირო გახდა, ჰუმანიზმი გავრცელებულიყო ეკოლოგიურ, ანუ ბუნებრივ გარემოებაზე, რის გამოც დაისვა საკითხი მისი დაცვის სამართლებრივი მოწესრიგების გარანტიების შესახებ.“**

ავტორი საფუძვლიანად აანალიზებს ჟენევის 1949 წლის აგვისტოსა და 1977 წლის ივნისის ოქმებს, რომლის თანახმადაც, საომარი მოქმედების დროს იკრძალება იმ სამუშაოების გამოყენება, რომელთა მიზანს გარემოსათვის ხანგრძლივი და სერიოზული ზიანის მიყენება წარმოადგენს. იქვე განხილულია 1991 წლის ერაყ-კუვეიტის ომის მაგალითი, როდესაც ცეცხლი წაუკიდეს ნავთობის ჭაბურღილებს, რასაც შედეგად მოჰყვა უზარმაზარი რაოდენობით ტექნიკური გაზების გატყორცნა ატმოსფეროში. ასევე ვეცნობით ჟენევის კონვენციების I და II ოქმის მოთხოვნებს, რომელიც კრძალავს საომარი მოქმედების დროს იმ ნამსხვრევთა გამოყენებას ცოცხალი ძალის წინააღმდეგ, რომელსაც რენტგენიც კი ვერ პოულობს ორგანიზმში, ხოლო მეორე ოქმი მოითხოვს ნაღმების გამოყენების აკრძალვას, რომელსაც 131-მა სახელმწიფომ მოაწერა ხელი.

XI თავი აშუქებს ნეიტრალიტეტის პრობლემას და სახელმწიფოთა ინტერესების დაცვას. აქ ავტორს განხილული აქვს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიუმხრობლობის საკითხი — ნეიტრალიტეტი, რომელიც არის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ნაწილი და რომელიც გამორიცხავს მონაწილეობას სხვა სახელმწიფოთა ომში და ასევე დახმარების გაწევას მეომარ სახელმწიფოთა რომელიმე მხარისათვის. ეს პრობლემა წესრიგდება 1899 და 1907 წლების ჰააგის კონვენციებით. იგივე თავი ეხება საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს — „ნაკისრ ვალდებულებათა აუცილებელი შესრულების შესახებ“.

XII თავში ავტორი განიხილავს ომის დამთავრების სამართლებრივ შედეგს და იმ მოვლენებს, რასაც ეს ფაქტი გვთავაზობს, კერძოდ: სამშვიდობო ხელშეკრულების დადების ფორმატს, რითაც წესრიგდება ტერიტორიული დავა, განისაზღვრება სამხედრო ტყვეთა ბედი, რეგულირდება შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო წარმოების შეზღუდვის საკითხები, საერთო და ადგილობრივი დაზავების პრობლემები, რომელიც ხდება გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებათა კონტროლით. ამავე თავში საყურადღებოა ფიზიკურ პირთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. ყველა ეს პრობლემა წესრიგდება 1907, 1954, 1998 წლების შესაბამისი კონვენციებით. აქვე ავტორი ეხება დაქირავებულთა გაწვრთნის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს. აქ სამართლის დარღვევად ითვლება ნებისმიერი სახელმწიფოსაგან პირთა დაქირავება და მომზადება საბრძოლველად. ამ გარემოებამ განაპირობა საერთშორისო კონვენციის მიღება, რომელსაც საქართველო შეუერთდა პარლამენტის 1995 წლის 3 მაისის 771 დადგენილებით.

ავტორი მკვეთრად უსვამს ხაზს იმას, რომ ეს დანაშაულები საფრთხეს უქმნის მსოფლიოს მშვიდობიანობის, უშიშროებისა და კეთილდღეობის პრობლემებს. სწორედ ამის გამო 1990-იან წლებში შეიქმნა საერთაშორისო სისხლის სამართლის ორი ტრიბუნალი და 2002 წლის 1 ივლისს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე ხელი მოეწერა რომის სტატუსს, რომელიც ეფუძნება 1998 წელს მიღებულ წესდებას მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლო ორგანოს შექმნის შესახებ. ავტორმა სრული მეცნიერული ლოგიკით დაასაბუთა მუდმივმოქმედების სამართლიანობა და მისი განსახილველი დანაშაულების მთელი სისტემა.

ნაშრომის XV თავი სრულიად მიზნობრივად და საჭიროებისამებრ ეხება დევნილთა და ლტოლვილთა სამართლებრივ სტატუსს, რომლის განვითარებასაც მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი და ამ პრობლემამაც საერთაშორისო ხასიათი მიიღო. ჰუმანიტარული სამართლის სივრცე და ჰუმანიტარული თანამეგობრობა უფრო და უფრო აცნობიერებს იძულებით გადაადგილებულთა პრობლემას, რომელიც მსოფლიოში 20 მილიონზე მეტ ადამიანს მოიცავს. ნაშრომი იხილავს ყველა საკითხს, რომელიც ლტოლვილთა მდგომარეობას ამსუბუქებს და ცდილობს გზა გადაუღობოს ისეთ ძალას, რომლის მოქმედებაც უპირობოდ წარმოშობს ლტოლვილთა ნაკადს.

ბატონ გ. ლობჟანიძისთვის, როგორც მეცნიერისთვის, დამახასიათებელია საკითხის ძირეული წვდომის მაღალი ხელოვნება, ყველა სფეროში ღრმად ჩახედვის პრინციპი, სხვათა შეხედულებების გაანალიზებისა და ურთიერთშეთავსება-გაცნობიერების მეცნიერული ხარისხი, რომელიც თავიდან ბოლომდე, როგორც მამშვენებელი კომპონენტი, შესამჩნევად გასდევს სახელმძღვანელოს. ავტორი უზადოდ ახერხებს ყოველი პრობლემის ძირეულ განხილვას, მათი შინაარსობრივი ქსოვილის უნაკლო შექმნას. მკითხველის გონება განათებული სულით აღიქვამს საგნის ცოდნის შემადგენელ ყოველ წვრილმანს. სწორედ აქედან გამომდინარეობს ის, რომ ავტორმა მკვეთრ სხვაობათა და მსგავსებათა აღმოჩენით დაალაგა შეიარაღებული კონფლიქტისა და ომის ცნებები, მათი ფორმები, სახეები, დაწყებისა და დამთავრების მთელი სხეული, მიმდინარე პროცესების ფორმები და სხვ.

ბატონი გივი ლობჟანიძის ეს ნაშრომი თანმიმდევრულად, შეიძლება ითქვას, სტრიქონის გამოუტოვებლად, ყოველგვარი ბუნდოვანების გარეშე, ნებისმიერი წვრილმანის გათვალისწინებით მკითხველს აწვდის სრულიად ნათელყოფილ, ამომწურავ სანდო სახელმძღვანელოს, რომელიც იძლევა ფუნდამენტურ ცოდნას ჰუმანიტარული სამართლის სივრცეში და რომელიც მეტად საიმედო და მართლაც ხელიდან ხელში გადასაცემი წიგნია კაცობრიობის სამართლის უზარმაზარ სივრცეში.

**ზაურ მჟავანაძე,**
**იურისტი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ბიძინა ივანიშვილმა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მოქალაქე“ დააფუძნა

**საქართველოს ექსპრემიერმა განაცხადა, რომ განზრახული აქვს, „გააკონტროლოს მთავრობა“ და განავითაროს სამოქალაქო საზოგადოება**

**საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა წარუდგინა საზოგადოებრიობას მის მიერ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“, რომლის მიზანიც საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცებაა.**

როგორც ორგანიზაციის წესდებაშია აღნიშნული, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ, საგანმანათლებლო და კულტურულ განვითარებას, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დამოუკიდებლობას, ადამიანის უფლებათა დაცვას.



ახალ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას განზრახული აქვს, ხალხთა კულტურული დაახლოების „ტრადიციულ და კანონიერ“ მეთოდებზე დაყრდნობით, დაიწყოს კონცეფციის დამუშავება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის მშვიდობიანი გზით. „მოქალაქის“ წესდება, რომლის შტატიც, თავად ივანიშვილის ჩათვლით, ჯერჯერობით შვიდი კაცისგან შედგება, ითვალისწინებს აგრეთვე სამეწარმეო საქმიანობის წარმოებას თვითდაფინანსების მიზნით.

**„მოქალაქე — ეს არის სახელმწიფოდ მოაზროვნე, სახელმწიფოდ ორგანიზებული მოაზროვნე ადამიანი პასუხისმგებლობის გრძნობით არა მხოლოდ ოჯახისა და მახლობლების, არამედ ყველა იმ თანამოქალაქის წინაშეც, რომლებსაც იგი საერთოდ არც იცნობს ან რომლებიც მას შეიძლება სულაც არ მოსწონდეს“,** — განაცხადა ივანიშვილმა 4 თებერვალს, როდესაც ჟურნალისტებს წარუდგინა თავისი არასამთავრობო ორგანიზაცია.

ივანიშვილის სიტყვებით, რომელიც დღეისთვის ყველაზე მდიდარი ქართველია მსოფლიოში დაახლოებით 7 მილიარდი დოლარის ქონებით, იგი ყოველთვის ოცნებობდა გახდეს „თავისუფალი საქართველოს თავისუფალი მოქალაქე“, და ამ ოცნების ასასრულებლად იგი „იძულებული იყო“ 2011 წელს „ცოტა ხნით მოსულიყო პოლიტიკაში“.

**„იყო თავისუფალი მოქალაქე — ეს არის ყველაზე დიდი არსებითი ბედნიერება და ამავე დროს ყველაზე დიდი ტვირთიც... დღეს სამოქალაქო სექტორიდან განზრახული მაქვს გავაკონტროლო ხელისუფლება და ამისკენ მოვუწოდებ ქვეყნის მთელ სამოქალაქო სექტორს... ამისთვის დავაარსე კიდეც ორგანიზაცია „მოქალაქე“,** — აღნიშნა ყოფილმა პრემიერმა.

შეგახსენებთ, რომ წარსულში ბიძინა ივანიშვილი არაერთგზის აცხადებდა, რომ მისი პოლიტიკური კარიერა „დროებითია“, და რომ მან მიიღო გადაწყვეტილება ჩაერთოს პოლიტიკაში მხოლოდ იმისთვის, რომ არჩევნების დროს შეცვალოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მთავრობა.

2012 წლის ოქტომბერში პარლამენტის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ივანიშვილმა თქვა, რომ მთავრობაში მისი ყოფნის ვადა იქნება დაახლოებით „წელიწადნახევარი-ორი წელიწადი“. 2013 წლის 27 ოქტომბრის პრეზიდენტის არჩევნებიდან მალე, რის შედეგადაც გაიმარჯვა კანდიდატმა მმართველი კოალიციიდან, ივანიშვილმა დატოვა პოლიტიკა და განაცხადა, რომ ამიერიდან აპირებს ხელი შეუწყოს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებასა და ჩამოყალიბებას.

## „ევროპული სივრცე“, რუსეთი და ჟურნალისტები

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს, რომელიც დაახლოებით ოთხი საათი გაგრძელდა, ბიძინა ივანიშვილმა ასევე განაცხადა, რომ მისი ფონდი „ქართუ“ დააფინანსებს რამდენიმე ახალ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას.

**„უნდა შეიქმნას სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები, რომლებიც განავითარებენ იმ მიმართულებებს, რაც ჩვენ (სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მოქალაქე“) არ შეგვიძლია. თუ დავინახავთ, რომ ეს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები იცავენ სტანდარტებს და გვეხმარებიან, დავბრუნდეთ ევროპულ სივრცეში, მაშინ ჩვენ ჩამოვყალიბდებით, როგორც ერთიანი ორგანიზაცია“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

ყოფილმა პრემიერმა ამავე დროს აღნიშნა, რომ მისი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს ქართველ ჟურნალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებას პროფესიული მომზადებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ გადმოცემული ინფორმაციის „ობიექტურობის“ გამოკვლევის გზით. როგორც ივანიშვილმა თქვა, ამ მიზნით დაქირავებული იქნებიან როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი სპეციალისტები.

ყოფილმა პრემიერმა ასევე განაცხადა თავისი რწმენის შესახებ იმასთან დაკავშირებით, რომ „ვერავინ და ვერაფერი ვერ შეუშლის ხელს“ საქართველოს — ხელი მოაწეროს 2014 წელს ხელშეკრულებას ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ. უფრო მეტიც, ბიძინა ივანიშვილის სიტყვებით, მომავალში საქართველო აუცილებლად შევა ევროკავშირში.

ამავე დროს, შეხვედრის დროს, ივანიშვილმა მხარი დაუჭირა თბილისის გადაწყვეტილებას ქართველი სპორტსმენების მონაწილეობის შესახებ სოჭში ზამთრის თამაშებში და თქვა, რომ ეს ხელს შეუწყობს საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას.

**„ოპონენტების განცხადების საპირისპიროდ, საქართველო დაადასტურებს, რომ სავსებით შესაძლებელია ერთდროულად გახდე ევროკავშირის წევრიც და ამავე დროს გქონდეს კარგი ურთიერთობანიც რუსეთთან“,** — აღნიშნა ექსპრემიერმა.

## შეძლებენ თუ არა ახალი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებანი, იყვნენ დამოუკიდებელი?

ჩვენთან თავის კომენტარებში უშიშროებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხების შესწავლის ცენტრის ხელმძღვანელმა ნიკა ჩიტაძემ შეგვახსენა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთი ფუნქციაა — მისცეს მთავრობას რეკომენდაცია ამა თუ იმ საკითხზე.

შესაბამისად, ამბობს პოლიტოლოგი, ის, რომ საქართველოში მმართველი ძალა ანგარიშს უწევს ბიძინა ივანიშვილს, და გაითვალისწინებს მისი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების პოზიციას საზოგადოებისთვის საკითხების აქტუალობასთან დაკავშირებით — თავისთავად ეს შეიძლება გამხდარიყო პოზიტიური ფაქტორი.

ამავე დროს, ექსპერტი მიიჩნევს „საინტერესოდ“ იმას, თუ როგორ განვითარდება მოვლენები და ექსპრემიერის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება რამდენად გააკრიტიკებს მთავრობას, რომელიც თავის დროზე თავად ბიძინა ივანიშვილმა ჩამოაყალიბა და, რომლის მიმართაც, როგორც მან ეს ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა, მას „არანაირი პრეტენზია არ გააჩნია“.

**„ასევე ძნელია, წარმოიდგინო, რომ ახალი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებანი, რომლებსაც, ივანიშვილის განცხადების თანახმად, იგი დააფინანსებს, შეძლებენ, იყვნენ დამოუკიდებელი და წარმოადგინონ ბიძინა ივანიშვილის აზრისგან განსხვავებული შეხედულება, რომელიც, როგორც ჩანს, დაინტერესებულია ამჟამინდელი ხელისუფლების პოზიციის განმტკიცებით“,** — აღნიშნა ნიკა ჩიტაძემ.

პოლიტიკური კვლევებისა და ტექნოლოგიების ცენტრის დირექტორს კახა კახიშვილს აქვს საპირისპირო აზრი და მიაჩნია, რომ ისაუბრო ივანიშვილის ორგანიზაციის დამოუკიდებლობის შესახებ, აგრეთვე იმ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების შესახებ, რომლებსაც ექსპრემიერი დააფინანსებს, შეიძლება მხოლოდ მათი საქმიანობის შესაბამისად.

**„ახალი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების პოზიციების ადეკვატურობა პირველსავე კრიტიკულ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელი იქნება რეაგირება ხელისუფლების მოქმედებებზე, გვიჩვენებს მათი დამოუკიდებლობის ხარისხს და განსაზღვრავს მათს პერსპექტიულობას. კერძოდ, ნდობა მათ მიმართ განპირობებული იქნება იმით, რამდენად ობიექტურად და კვალიფიციურად შეაფასებენ ისინი აქტუალურ მოვლენებს“,** — თქვა ექსპერტმა ჩვენთან ინტერვიუში.

Voice of America

# ევროკავშირმა საქართველოს ურჩია — ურთიერთობანი თავად რუსეთის ფედერაციასთან მოაწესრიგოს

**ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ მოუწოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს გაააქტიუროს მოლაპარაკების პროცესი რუსეთთან და დამოუკიდებლად გადაწყვიტოს პრობლემები რუსეთის ფედერაციასთან, ნუ ექნება ამ პროცესში ევროკავშირის ჩართვის იმედი. ქართული ოპოზიცია ევროკავშირის ასეთ დამოკიდებულებას მიიჩნევს ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობის მიერ განხორციელებული „კაპიტულანტური პოლიტიკის“ შედეგად.**

საქართველოს პრემიერი ევროკავშირის ხელმძღვანელს შეხვდა თავისი ევროპული ტურნეს ფარგლებში. ჟოზე მანუელ ბაროზუსთან საუბრამდე ბატონი ღარიბაშვილი ესწრებოდა დავოსის ეკონომიკურ ფორუმს და სიტყვითაც გამოვიდა უშიშროების მიუნხენის კონფერენციაზე. ეს გამოსვლა იყო შემრიგებლური რუსეთთან დამოკიდებულებაში.

როდესაც პრემიერის მიუნხენის სიტყვას გამოეხმაურა, ჟოზე მანუელ ბაროზუმ მასთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს მისწრაფებას რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის მოწესრიგების საქმეში და მოუწოდებს ქვეყნის ახალ ხელისუფლებას, გაააქტიუროს დიალოგი მოსკოვთან. მისი სიტყვებით, **„ევროკავშირი პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ მიიჩნევს, რომ დიალოგი რუსეთთან — კონფლიქტის გადაჭრის ერთადერთი გზაა“.** თბილისში ეს განცხადება აღიქვეს, როგორც ევროკავშირის მისწრაფება — საქართველოს ხელმძღვანელობას დააკისროს მთელი პასუხისმგებლობა მოსკოვთან ურთიერთობის მოწესრიგებაში და ბრიუსელის სურვილის უქონლობა ჩაერთოს ამ პროცესში.

ოპოზიციამ ექსპრეზიდენტ სააკაშვილის თანამებრძოლთა რიცხვიდან უკვე ბრალი დასდო ხელისუფლებას დასავლეთის მხარდაჭერის დაკარგვაში. პარლამენტის წევრმა გიორგი ბარამიძემ დადასტურების სახით მოიყვანა არა მხოლოდ ბატონ ბაროზუს გამონათქვამები, არამედ ნატოს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის გამოსვლაც მიუნხენის კონფერენციაზე. **„გენერალურმა მდივანმა ჩამოთვალა რისკები, რომლებიც მოდის რუსეთისგან, მაგრამ ერთი სიტყვაც არ უხსენებია ქართული მიწების ოკუპაციის შესახებ“,** — აღნიშნა გიორგი ბარამიძემ, რომელიც მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაციაში იყო სახელმწიფო მინისტრი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში.

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე



**საუდის არაბეთში ჟურნალისტს ხელისუფლების კრიტიკისთვის 12 წლით ციხე მიუსაჯეს**

**სასამართლომ ვაჟდი ალ-გიზავი აღიარა დამნაშავედ „მმართველის დაუმორჩილებლობისა“ და კრიმინალური ბრალდებისთვის, რომელიც მან გამოთქვა ტელეგადაცემაში სამეფოს მისამართით, ტერორიზმის წახალისებაში და კავშირურთიერთობაში „ალ-ქაიდასთან“. ჟურნალისტს ასევე აეკრძალა 20 წლის განმავლობაში დატოვოს ქვეყანა და იმუშაოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.**

* * *

**კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ და სამხრეთმა კორეამ ოთხწლიანი შესვენების შემდეგ დანიშნეს გაყოფილი ოჯახების შეხვედრების დრო და ადგილი**



**იმ ოჯახების წევრების შეხვედრა, რომლებიც გაითიშნენ 1950-1953 წლების ომის დროს, როგორც წესი, მეტად ემოციურია. მათი უმრავლესობა 70-80 წლისაა და ისინი ასეთ შეხვედრებს განიხილავენ, როგორც უკანასკნელ შესაძლებლობას, შეხვდნენ ძვირფას ადამიანებს, რომლებთანაც კავშირი არ ჰქონიათ მრავალი წლის განმავლობაში.**

* * *

**ბრაზილიაში ექვს მილიონზე მეტი კაცი ელექტროგადამცემ ხაზზე ავარიის გამო უშუქოდ და გათბობის გარეშე დარჩა.**



**„ბლეკაუტმა“ მოიცვა 27-დან 11 შტატის მცხოვრებლები, მათ შორის ფედერალური დედაქალაქის ოლქი, აგრეთვე სან-პაულუ და რიო-დე-ჟანეირო. ამ ქალაქებში იანვარი აღმოჩნდა ყველაზე ცხელი თვე უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში. ასეთი პრობლემები ყურადღებას იპყრობენ მსოფლიოში ბრაზილიაში მომავალ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით.**

* * *

**საკონსტიტუციო რეფორმა გახდა უკრაინის უმაღლესი რადის სესიის პირველი დღის საჯილდაო ქვა**

**როგორც სპიკერმა ვლადიმირ რიბაკმა განაცხადა, ჯერჯერობით პარლამენტში „არანაირი დოკუმენტი რეფორმასთან დაკავშირებით განსახილველად არ შემოსულა და არ დარეგისტრირებულა“. ამასთან დაკავშირებით საღამოს სხდომა გაგრძელდა 20 წუთი. ამ დროს დეპუტატმა ანა გერმანმა განაცხადა, რომ „იანუკოვიჩის რუსეთში წასვლამდე კონსტიტუციასთან დაკავშირებით არაფერს გადაწყვეტენ“.**





# „მხედრიონი“ — ბოროტების მხედრობა

ყინვიანი დილა იყო. ეზოში ბავშვები გუნდაობდნენ.

იქვე ჩასაფრებულმა თემურ ქურდიანმა ჯგუფის წევრებს რადიოგადამცემით აცნობა, მანქანა დაიძრაო.

ამ ინფორმაციის მიღებისთანავე ავტომატებით შეიარაღებული ზურაბ ჭელიძე, ზურაბ ხაჩიძე და გია ძაგანია მანქანას გადაუდგნენ და ტყვიის ცეცხლი დაუშინეს, ერთიანად დაცხრილეს ლითონიც და ადამიანებიც.

გია ჭანტურია და მერაბ ბარამია ადგილზე გარდაიცვალნენ.

ირინა სარიშვილი მძიმედ დაიჭრა, რევაზ ჯიჯეიშვილი — მსუბუქად.

ალბათ ასე, ერთი საათის შემდეგ მივედი მაშინ იმ ადგილზე. დაჭრილ-დახოცილები უკვე წაეყვანათ. მაინც საშინელი სანახაობა იყო. დაცხრილული ავტომანქანა, სისხლის გუბე...

* * *

ამრიგად 1994-1995 წლებში „დომინოს პრინციპით“ განხორციელდა რამდენიმე მსხვილი ტერორისტული აქტი.

სხვათა შორის, არც მხედრიონელთა მტრებს ეძინათ. ტერაქტი განხორციელდა თვით ჯაბაზე. ერთხელ აეროპორტის გზაზე, მეორედ — ხილიანის ქუჩაზე. ხილიანზე აფეთქებას რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, სამიზნე კი უვნებლად გადარჩა. დააპატიმრეს დოკვაძე, გელბახიანი და სხვები...

ერთი ბოროტმოქმედება გზას უხსნიდა მეორეს.

ყოველ გასროლას ერთი დიდი სამიზნე ჰქონდა — ხელისუფლების ხელში ჩაგდება.

ბოლო სამიზნე სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე იყო. მის მოუცილებლად მთავარი ჩანაფიქრი ვერ აღსრულდებოდა.

ასე თანდათან მოახლოვდა 29 აგვისტო.

## აცდენილი დარტყმა

„ყოველივეს თავისი დრო აქვს და ყველაფერს თავისი ჟამი ამ ცისქვეშეთში“ — ეკლესიასტე.

„დრო, დრო აღნიშნე! მიაწერე ლექსს — ეს წელიწადი, დღე და საათი“ — გალაკტიონი.

დრო იგი იყო 1995 წლის 29 აგვისტო, 18 საათი და 30 წუთი...

იმ დღეს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ხელი უნდა მოეწერათ საქართველოს კონსტიტუციისთვის, რომელიც პარლამენტმა უსაშველო დავისა და ნერვების წყვეტის შემდეგ, როგორც იქნა მიიღო.

დღე იგი იყო საზეიმო და დიდმნიშვნელოვანი, თუ გნებავთ — ისტორიულიც.

სასახლეში შეკრებილი პარლამენტარები ქვეყნის ლიდერს ელოდებოდნენ.

სახელმწიფო მეთაური — პარლამენტის თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე, ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი და სახელმწიფოს მეთაურის აპარატის უფროსი პეტრე მამრაძე პარლამენტის შენობის (ყოფილი „იმელი“, სადაც მაშინ იყო განთავსებული პარლამენტი) ეზოში ავტომანქანაში (გაზ-31 AAA 555) ჩასხდნენ და დაიძრნენ, ეზოდან გამოსვლამდე მანქანამ იქვე მდგომ თეთრ „ნივას“ ჩაუარა...

დღემოწმენდილზე უეცრად იქუხა, ხრიალით ჩამოილეწა მირიადი ფანჯრის მინა და ზლაზვნით ავარდა კვამლის სვეტი თბილისის ცაში.

მისი ხმა უმალ გადაწვდა საქართველოს და მთელ მსოფლიოს.

ედუარდ შევარდნაძე მოკლეს! სახელმწიფოს მეთაური ააფეთქეს!

საშინლად აიმღვრა აგვისტოს ის საღამო.

შეშფოთებული მოქალაქენი ერთმანეთს აწყდებოდნენ: რა იქნება ხვალ? ნუთუ ყველაფერი თავიდან იწყება? ნუთუ ისევ ქაოსი მოგველის?

მერე თანდათან გამოიკვეთა: გადარჩა, მსუბუქად არის დაჭრილი!

ხალხი ტელეეკრანებს მიაცივდა ცნობათა მოლოდინში.

გამოჩნდა კიდეც სახელმწიფოს მეთაური: უჩვეულოდ და... მომენტის არაორდინალობას თუ გავითვალისწინებთ, ძალზე ჩვეულებრივად — მაისურით, მინის ნამსხვრევებით დაწინწკლული, აღელვებული არა განცდილით, არამედ ღალატით, შეშფოთებული არა საკუთარი სიცოცხლის გამო, არამედ ქვეყნის ბედით.

პირველმა ელდამ გაიარა და აზვირთდა მრისხანება: ბოლოს და ბოლოს, უნდა დასრულდეს ეს განუკითხაობა, გვეყო ამდენი გაუხსნელი ტერორისტული აქტი და ბოროტმოქმედება, დროა!

და მართლაც: ის ცადაჭრილი კვამლის შავი სვეტი დასასრულის დასაწყისი აღმოჩნდა, ახალ კითხვის ნიშნად კი არა, ძახილის ნიშნად იქცა.

იმავე დღეს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

საქმის გამოძიებაზე ხელმძღვანელობა დაევალა ქვეყნის გენერალური პროკურორის მოადგილეს, იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველს რევაზ ყიფიანს.

ყოველთვის ჭირვეულ და სამართალდამცავ ორგანოებთან კრიჭაში მდგარ პარლამენტს იმჯერად დებატები არ მოუწყვია, 29 აგვისტოს გამართულმა რიგგარეშე სხდომამ ნება დართო საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურას დაეთვალიერებინა და გაეჩხრიკა პარლამენტისა და პარლამენტის შენობის სამუშაო ადგილები მომხდარ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით.

* * *

მივყვეთ გამოძიების მტკიცებებს.

როცა ივლისში „ლიფტში ბომბით“ და „ადამიანი ბომბით“ სახელმწიფოს მეთაურის მოკვლაზე ხელი მოეცარათ, გადაწყვიტეს კიდევ ერთხელ ეცადათ, ოღონდ ისეთი ხერხითა და საშუალებით დასხმოდნენ თავს, შედეგი უტყუარი ყოფილიყო.

კობრა წამოიმართა, კისერი გაბერა და დაუცდენელი დარტყმისთვის მოემზადა.

გადაწყდა: „ნივის“ მარკის ავტომანქანა მიმართული მოქმედების ნაღმებით გაეძეძგათ და დისტანციური მართვის პულტით აეფეთქებინათ საჭირო მომენტში.

ამ საქმეს მცოდნე ადამიანები, სპეციალისტები სჭირდებოდა. კაცი რომ ააფეთქო, მარტო მისი აფეთქების სურვილი არ კმარა. უნდა იცოდე, როგორ ააფეთქო. ერთი სიტყვით პური ხაბაზმა უნდა გამოაცხოს.

ეს საქმე უშიშროების სამსახურის სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფ „ომეგას“ მუშაკს კაპიტან გურამ პაპუკაშვილს ენდო.

ეს ის კაპიტანი პაპუკაშვილი გახლავთ, თბილისი-მოსკოვის №936 რეისის თვითმფრინავში ნაღმი რომ შეაპარა და 164 ადამიანი კინაღამ საიქიოს გაისტუმრა.

გამოძიების მტკიცებით გურამ პაპუკაშვილმა თავისი უშუალო უფროსის გელა პაპუაშვილის დავალებით უშიშროების სამსახურის საწყობიდან რამდენიმე ცალი ქვეითთა საწინააღმდეგო, მიმართული ქმედების „მონის“ ტიპის ნაღმი და ტროტილის ბაზაზე დამზადებული სხვა პლასტიკური ფეთქებადი ნივთიერება გაიტანა, რამდენიმე ელექტროდეტონატორი დაუმატა და ყველაფერი ეს თეთრი ფერის „ნივაში“ მოათავსა.

„ნივა“ სპეციალურად შეარჩიეს ასაფეთქებლად (მისი პატრონი გამოძიებამ ბოლომდე ვერ დაადგინა), ის უშიშროების სამსახურის სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფ „ალფას“ დისლოკაციის ადგილზე იდგა.

ახლა კვალიფიკაციური ამფეთქებლის გამონახვა იყო საჭირო.

ამფეთქებლის კვალიფიკაცია „ომეგას“ ჯგუფის უფროს ლეიტენანტს ავთანდილ გოგოტიშვილს ჰქონდა. იგი დათანხმდა სახელმწიფო მეთაურის აფეთქებაში მონაწილეობაზე.

გ. პაპუკაშვილმა და ა. გოგოტიშვილმა ავბედითი „ნივა“ ნუცუბიძის პლატოს მეორე მიკრორაიონში „ომეგას“ თანამშრომლის გ. გოგიტიძის გარაჟში გადაიყვანეს და აგვისტოს პირველ რიცხვებში მასში მიმართული მოქმედების ნაღმები და ტროტილზე დამზადებული პლასტიკური ფეთქებადი ნივთიერება ჩაამონტაჟეს.

მალე შეთქმულების კიდევ ერთმა მონაწილემ, უშიშროების სამსახურის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის „მოდულის“ უფროსის მოადგილემ ედუარდ ნასყიდაშვილმა გურამ პაპუკაშვილს გადასცა თავის მიერ დამზადებული დისტანციური აფეთქებისთვის განკუთვნილი სამი ცალი მოწყობილობა და მისი მოქმედების პრინციპიც აუხსნა.

გამოძიება გვარწმუნებს, შეთქმულების მონაწილეებმა „ნივის“ აფეთქების გზით სახელმწიფო მეთაურის მკვლელობის რამდენიმე ვერსია დაამუშავესო.

ერთ-ერთი ვარიანტი ასეთი ყოფილა: დანაღმული „ნივა“ დისტანციური მართვის პულტით უნდა აეფეთქებინათ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სიონის საკათედრო ტაძრის სიახლოვეს ედუარდ შევარდნაძის სამსახურებრივი მანქანით ჩასვლისას, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციიდან სამსახურში მიმავალი ან უკან დაბრუნებული.

სხვადასხვა მიზეზებით, შეთქმულების მონაწილეებმა ამ ვარიანტზე უარი თქვეს.

დამტკიცდა მეორე ვარიანტი — ტერორისტული აქტის ადგილად შეირჩა პარლამენტის ეზო (მკითხველს შევახსენებ: პარლამენტს მაშინ ყოფილი „იმელის“ შენობაში ედო ბინა). იგი იმითაც იყო ხელსაყრელი, რომ იქ უსაფრთხოებაზე პასუხს აგებდა სამთავრობო დაცვა და არა უშიშროების სამსახური.

დაიწყო ვარიანტის დამუშავება, უკანასკნელი მოსამზადებელი სამუშაოები.

ის უკულმართი „ნივა“ მოპარული სანომრე ნიშნით ავთანდილ გოგოტიშვილმა აგვისტოს შუა რიცხვებიდან 29 აგვისტომდე ნუცუბიძის პლატოს მეორე მიკრორაიონიდან რამდენჯერმე ჩაიყვანა სანაპიროზე, ყოფილ რესტორან „არაგვთან“. იქ სიგნალის მიმღები პულტების ნაღმებთან შეერთებით ამოწმებდნენ რამდენად მზად იყო მანქანა ჰაერში ასაფრენად და ხალხის დასახოცად.

თითქოს ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობდა, მაგრამ ათასმეერთედაც უნდა შეემოწმებინათ.

და გურამ პაპუკაშვილმა, ლევან ზაქარეიშვილმა და მამუკა ბარბაქაძემ დანაღმული „ნივა“ დაუბრკოლებლად რამდენჯერმე შეიყვანეს პარლამენტის ეზოში ასაფეთქებელი მოწყობილობის გამართულობის გასასინჯად და სხვა აუცილებელ გარემოებათა დასაზუსტებლად.

და რა გგონიათ? ეს სარისკო ცდა აუცილებელი გამოდგა — გადამცემი პულტიდან ავტომანქანაში ჩამონტაჟებულ მიმღებ მოწყობილობამდე სიგნალი არ მიდიოდა.

გურამ პაპუკაშვილმა გადამცემი პულტი მის შემქმნელს ედუარდ ნასყიდაშვილს დაუბრუნდა და გაამართვინა, შემდეგ ლევან ზაქარეიშვილს გადასცა და მისი მოქმედების პრინციპი აუხსნა.

ამასაც მორჩნენ და 29 აგვისტოს მამუკა ბარბაქაძემ დანაღმული „ნივა“ კვლავ პარლამენტის ეზოში შეიყვანა და წინასწარ შერჩეულ ადგილას გააჩერა.

ყველაფერი მზად იყო.

მაშ ასე: მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში პარლამენტის წევრები შეკრებილან და სახელმწიფოს მეთაურს ელიან.

18 საათსა და 30 წუთზე სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე, პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი და სახელმწიფოს მეთაურის აპარატის უფროსი პეტრე მამრაძე კონსტიტუციაზე ხელმოწერის ცერემონიალზე გასამგზავრებლად პარლამენტის შენობიდან გამოვიდნენ და მანქანაში ჩასხდნენ.

მძღოლმა გელა თანდაშვილმა მანქანა დაძრა.

პარლამენტის ეზოდან გამოსვლამდე თეთრი ფერის „ნივას“ ჩაუარეს...

მოპირდაპირე მხარეს, საქალაქთაშორისო სატელეფონო-სატელეგრაფო კავშირის რესპუბლიკური ცენტრის შენობასთან, თეთრი ფერის „ვაზ-2107“-ში ორი კაცი ზის — გიგა გელაშვილი და ავთანდილ გოგოტიშვილი, გაფაციცებით უთვალთვალებენ პარლამენტის ეზოს.

აი, სახელმწიფო მეთაურის სასამსახურო „ვოლგაც“...

აქ მოულოდნელი ამბავი მოხდა. ავთანდილ გოგოტიშვილმა უცებ უარი თქვა დისტანციური მართვის პულტზე თითის დაჭერაზე.

წამის მეათედები კი ელვის სისწრაფით გარბის — „ვოლგა“ უკვე გაუსწორდა „ნივას“...

და პულტს ხელი გიგა გელაშვილმა დააჭირა.

აფეთქების ხმამ იქაურობა გააყრუა.

ავთანდილ გოგოტიშვილმა თავზე იტაცა ხელი (ვიღაცამ შენიშნა და შემდეგ გაიხსენა ეს მოძრაობა).

დამანგრეველი ძალის, მრავალი პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში აფეთქების შედეგად „გაზ-31 AAA 555“, რომელშიც სახელმწიფოს მეთაური და მისი თანმხლებნი ისხდნენ, დაზიანდა და ძლიერი დეფორმაცია მიიღო.

მაგრამ, საბედნიეროდ, მან წამის რაღაც მონაკვეთით გაასწრო მიმართული მოქმედების ნაღმების სასიკვდილო დარტყმას . წამის იმ მონაკვეთით, რაც გამოუცდელმა გიგა გელაშვილმა დაკარგა პულტზე ხელის დაჭერისას...

ედუარდ შევარდნაძემ, ვახტანგ რჩეულიშვილმა, პეტრე მამრაძემ და მძღოლმა გელა თანდაშვილმა მოასწრეს ალმოდებული მანქანიდან გადმოსვლა. ყველა მსუბუქად იყო დაჭრილი მინის ნამსხვრევებით, სისხლი სდიოდათ.

გადმოვიდნენ და მანქანა აფეთქდა კიდეც.

ამას ეზოში მდგომი სხვა მანქანების აფეთქება და ხანძრის ზღვა მოჰყვა, მთლიანად განადგურდა 9 მსუბუქი ავტომანქანა.

ალეკო ასლანიშვილი.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 12-24

### გზა დაელოცოთ!

# დღეს ქართული დელეგაცია სოჭში მიემგზავრება

## პრემიერ-მინისტრის მიმართვა ოლიმპიელებს



**„ძვირფასო ოლიმპიელებო! ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა ნებისმიერი სპორტსმენისათვის უაღრესად საპატიოა. ჩვენ ვამაყობთ, რომ ქართველი სპორტსმენები აკმაყოფილებთ ოლიმპიური თამაშების სტანდარტებს და მონაწილეობთ მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენთა უმაღლესი დონის შეჯიბრებებში.**

2014 წლის სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა ჩვენში განსაკუთრებულ ემოციებს იწვევს, რადგან ოლიმპიადა ტარდება საქართველო-რუსეთის საზღვართან, ოკუპირებულ აფხაზეთთან ახლოს. მეტად რთული იყო გადაწყვეტილების მიღება ამ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის შესახებ, მაგრამ ჩვენ გავითვალისწინეთ სხვადასხვა ფაქტორი და ეს გადაწყვეტილება ქართული სპორტისა და ჩვენი სპორტსმენების, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების სასარგებლოდ მივიღეთ. საქართველოს მეგობრები იზიარებენ ჩვენს პოზიციას.

დაუშვებელია სპორტის პოლიტიზება. სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობით საქართველო დგამს კეთილი ნების ნაბიჯს საერთაშორისო თანამეგობრობისა და ზოგადად ოლიმპიური მოძრაობის მიმართ.

ახლა ჯერი თქვენზეა, ჩვენს სახელოვან სპორტსმენებზე. მთელი საქართველო, ყველანი თქვენი გულშემატკივარნი ვართ და განსაკუთრებული ინტერესით ვადევნებთ თვალს თქვენს წარმატებებს“.

### ძიუდო

# საგარეჯოს ტატამზე



**გაისად თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში 1998-1999 წლებში დაბადებული ძიუდოისტები იჭიდავებენ, ამიტომაც საქართველოს ძიუდოს ფედერაცია ამ ასაკის გოგო-ბიჭების შეჯიბრებისთვის მომზადებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და სასელექციო ტურნირებთან ერთად საქართველოს პირველობებსაც აწყობს. რამდენიმე სპორტსმენმა შარშან ევროპაზეც იასპარეზა. მაგალითად, 15 წლის მზია ბებოშვილმა, რომელსაც სწორედ საფესტივალო ასაკი აქვს, ახალგაზრდებში კონტინენტის პირველობის ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.**

წლეულს მოზარდთა საქართველოს პირველობას საგარეჯომ უმასპინძლა. რეგიონების მიხედვით შეჯიბრებაში 230 სპორტსმენი მონაწილეობდა. მოასპარეზეთა რიცხვი ბევრად მეტი იქნებოდა, მაგრამ მხარეებს მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის ძიუდოისტი უნდა გამოეყვანათ. გოგონებში ისევ იყოჩაღა მზია ბებოშვილმა, რომელმაც პირველობა არავის დაუთმო. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ორგზის ევროპის ჩემპიონის, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორის — ნესტორ ხერგიანის ვაჟმა ირაკლიმ. გაუწყებთ საგარეჯოს ტატამზე გამარჯვებულთა ვინაობას:

**ბიჭები**

**46 კგ.** ვაჟა ბუბუნაური (კახეთი), **50 კგ.** თემურ ნოზაძე (შიდა ქართლი), **55 კგ.** თენგიზ ჩიტაური (თბილისი), **60 კგ.** ივანე მახათაძე (შიდა ქართლი), **66 კგ.** ლაშა დუდაშვილი (თბილისი), **73 კგ.** გიორგი ქევხიშვილი (თბილისი), **81 კგ.** გიორგი გოგოლიძე (იმერეთი), **+81 კგ.** თორნიკე ტაბატაძე (გურია).

**გოგონები**

**44 კგ.** ნატა ყიფშიძე (თბილისი). **48 კგ.** ნინო მგელაძე (აჭარა), **52 კგ.** მზია ბებოშვილი (თბილისი), **57 კგ.** ეთერ ლიპარტელიანი (რაჭა-ლეჩხუმი — ქვემო სვანეთი), **63 კგ.** თამარ მჭედლიშვილი (თბილისი). **70 კგ.** სალომე მჭედლიშვილი (თბილისი), **+70 კგ.** ელისო სისაური (კახეთი).

**ლექსო ცინცაძე**

### წერილი კი ასეთია



**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო აქვეყნებს წერილს, რომელიც მინისტრმა ლევან ყიფიანმა ფეხბურთის ფედერაციაში ნაკრების მწვრთნელის ხელფასის მოთხოვნის საპასუხოდ გაგზავნა.**

როგორც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში განმარტავენ, საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თემურ ქეცბაიას ანაზღაურებასთან დაკავშირებით მედიასაშუალებებით სხვადასხვა ინფორმაცია გავრცელდა. აქედან გამომდინარე, ითვალისწინებს რა საზოგადოების დიდ ინტერესს, ყიფიანის უწყება აქვეყნებს წერილს, რომელიც საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ნაკრების მწვრთნელის ხელფასის მოთხოვნის საპასუხოდ გაიგზავნა.

# მართლაც, კმარა!

„საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ განიხილა მიმდინარე წლის 17 იანვრის 303/15 წერილი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელთან გაფორმებული ხელშეკრულებით 2014 წლის იანვრის თვეში კუთვნილი თანხის (220 975 ლარი) მოთხოვნის თაობაზე.

კიდევ ერთხელ გაცნობებთ, რომ ჩვენს შორის შემდგარი არაერთი შეხვედრის დროს გაჟღერდა სახელმწიფოს პოზიცია მიმდინარე ეტაპზე ეროვნული ნაკრებისთვის მაღალანაზღაურებადი მწვრთნელის მიუღებლობის შესახებ. ასევე არაერთხელ დაისვა საკითხი იმის თაობაზე, რომ სფფ-მ შეასრულოს მთავარ მწვრთნელთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობა და შესაბამისმა ორგანომ შეაფასოს მთავარი მწვრთნელის საქმიანობა და მიიღოს ობიექტური გადაწყვეტილება.

ჩვენთვის და საზოგადოებისთვის უცნობია, თუ როგორ აფასებს სფფ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის საქმიანობას. კიდევ ერთხელ, ამჯერად წერილობით გამოვხატავთ სახელმწიფოს ხედვას იმის თაობაზე, რომ არსებული შედეგების გათვალისწინებით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ხელფასის ანაზღაურება არ უნდა იყოს წელიწადში 400 000 ლარზე მეტი.

მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზანშეწონილია დაფინანსდეს U-15 და ზედა ასაკობრივი ნაკრებები, ასევე გაურკვეველი და გაუგებარია, თუ რა კრიტერიუმით არის შერჩეული როგორც მწვრთნელთა (სხვადასხვა შემთხვევაში 3, 4 ან 5 მწვრთნელი) რაოდენობები ასაკობრივი ნაკრებების თვალსაზრისით, ასევე მათი სახელფასო განაკვეთები. აქედან გამომდინარე, გვაქვს საფუძველი დავასკვნათ, რომ ადგილი აქვს სუბიექტურ და უსისტემო მიდგომას საკითხისადმი.

ეს კი მიუღებელია ნებისმიერ შემთხვევაში, მით უფრო, როდესაც საკითხი საბიუჯეტო თანხების ხარჯვას ეხება. გვინდა შეგახსენოთ, რომ ფეხბურთში, ისევე როგორც სპორტის ნებისმიერ სახეობაში მწვრთნელის წარმატება მის სპორტულ შედეგზეა დამოკიდებული, აქედან გამომდინარე, სამინისტრომ შეიმუშავა და მიიღო „სპორტსმენთა და მწვრთნელთა ხელშეწყობის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა“, რომელიც შედეგზე ორიენტირებულ, წარმატებულ მწვრთნელთა და სპორტსმენთა დამატებით ფინანსურ წახალისებას გულისხმობს. შესაბამისად, არც ერთი წარმატებული ნაბიჯი თუ მიღწევა სახელმწიფოს მხრიდან ყურადღების მიღმა არ რჩება და მეტი მოტივაციის საფუძველია.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების თქვენეულ გაწერაში არაფერია ნათქვამი სფფ-ის პოლიტიკის შესახებ რეგიონებში ბავშვთა ფეხბურთის განვითარების თვალსაზრისითაც იმ დროს, როდესაც სტატისტიკურად ფეხბურთელთა შევსება ძირითადად რეგიონებიდან მოდიოდა და სახელმწიფოებრივი მიდგომა ამ მიმართულებით უნდა იყოს აქცენტირებული.

სფფ-ს მიერ ამ კუთხით დაგეგმილი და განსახორციელებელი ღონისძიებები პრიორიტეტებში არ ზის.

მიზანშეწონილია, რომ სახელმწიფო სახსრებით გარკვეული ღონისძიებები დაიგეგმოს და განხორციელდეს რეგიონებში, რაც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას რეგიონებში და გააიოლებს სელექციას, ხოლო მეორე მხრივ, რეგიონული ფედერაციები მიიღებენ გარკვეულ ფინანსურ რესურსს, გააუმჯობესებენ მენეჯმენტს და შეძლებენ დაიბრუნონ ესოდენ მნიშვნელოვანი ფუნქცია.

რაც შეეხება უმაღლესი ლიგის კლუბების პრობლემას, სამწუხაროდ, ვერც აქ დავინახეთ თქვენი მიზანმიმართული ნაბიჯები პრობლემის მოგვარების მიზნით გარდა განცხადებებისა, სადაც ხელს სახელმწიფოსკენ იშვერთ. მიგვაჩნია, რომ არსებული დაფინანსების პირობებშიც შესაძლებელია უმაღლესი ლიგის კლუბების დახმარება (თითოეული კლუბი — 200000X12=2 400 000 ლარი), თუ თანხები რაციონალურად იქნება გადანაწილებული. არავის აქვს ილუზია იმისა, რომ ეს თანხა პრობლემას მოაგვარებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს იქნება ქმედითი ნაბიჯი გადადგმული სახელმწიფოს მხრიდან და კარგი ადმინისტრირების პირობებში დღის წესრიგში დააყენებს ფეხბურთის განვითარების გრძელვადიანი პროგრამის დამტკიცებას, რომლის წარმოდგენაც არაერთხელ გთხოვეთ და დღემდე ამაოდ ველოდებით.

გთხოვთ, გულდასმით მოეკიდოთ წერილში აღნიშნულ საკითხებს, საბიუჯეტო სახსრები გადაანაწილოთ რაციონალურად და გაატაროთ მწყობრი პოლიტიკა ფეხბურთის განვითარებისთვის“, — ნათქვამია ლევან ყიფიანის წერილში.

მოკლედ, საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელის თემურ ქეცბაიასა და მისი შტაბის ხელფასს სახელმწიფო აღარ გადაიხდის.

არსებული ინფორმაციით, ეს თანხა 2,52 მილიონ ლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ამ თანხას აქამდე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო იხდიდა.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ამიერიდან მწვრთნელს ანაზღაურებას ეს უკანასკნელი გადაუხდის.

**გიორგი შოთაძე**

### ფეხბურთი

## რობენი „ბაიერნში“ 2017 წლამდე დარჩება



**მიუნხენის „ბაიერნის“ გარემარბი არიენ რობენი კლუბთან კონტრაქტს თვის ბოლოს გაახანგრძლივებს. ჰოლანდიური წყაროების ცნობით, მხარეები ახალი ხელშეკრულების პირობებზე უკვე შეთანხმებულნი არიან.**

განახლებული კონტრაქტით, რობენი „ალიანს არენაზე“ 2017 წლამდე ითამაშებს. ჰოლანდიელის მოქმედ ხელშეკრულებას ვადა 2015 წელს ეწურება.

გერმანიის ბუნდესლიგის მიმდინარე გათამაშებაში რობენმა 14 მატჩი ჩაატარა და 4 გოლი მიითვალა.

**მანუჩარ გიორგაძე**

### კალათბურთი

# ზაფხულიც მალე მოვა

**უკვე გაუწყეთ ბარსელონაში გამართული „ევრო-2015“-ის შესარჩევი რაუნდის კენჭისყრის შედეგები, რომელმაც საქართველოს ნაკრებს მეტოქეებად ჩეხეთის, უნგრეთისა და პორტუგალიის გუნდები არგუნა.**

იმავე დღეს კატალონიის დედაქალაქის სასტუმრო „მეჯისტიკში“ წლევანდელი „მუნდიალის“ ფინალური ტურნირის წილისყრაც მოეწყო, რომელსაც ზაფხულში ესპანეთი უმასპინძლებს.

**„ა“ ჯგუფი.** ესპანეთი, სერბეთი, საფრანგეთი, ბრაზილია, ეგვიპტე, ირანი.

**„ბ“ ჯგუფი.** ფილიპინები, სენეგალი, პუერტო რიკო, არგენტინა, საბერძნეთი, ხორვატეთი.

**„გ“ ჯგუფი.** დომინიკანის რესპუბლიკა, თურქეთი, აშშ, ფინეთი, ახალი ზელანდია, უკრაინა.

**„დ“ ჯგუფი.** სლოვენია, ლიტვა, ანგოლა, კორეა, მექსიკა, ავსტრალია.

შეგახსენებთ, რომ თითოეული ჯგუფიდან პლეიოფში ოთხ-ოთხი საუკეთესო ითამაშებს, მერვედფინალიდან კი ბრძოლა ოლიმპიური სისტემით გაგრძელდება.

**ვიტალი ჯაფარიძე**



### მაგიდის ჩოგბურთი

# კლასიკურმა ყველას აჯობა

**46 საჯარო სკოლის მაგიდის ჩოგბურთელთა გუნდი მონაწილეობდა საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის (პრეზიდენტი გია ბეგიაშვილი) ინიციატივითა და „პრივატბანკის“ თანადგომით ორგანიზებულ დედაქალაქის ღია პირველობაში (მთავარი მსაჯი სუსანა გვილავა), რომელსაც 84-ე სკოლამ (დირექტორი მანანა ბაციკაძე) უმასპინძლა.** თითოეული გუნდის შემადგენლობაში 2-2 მოსწავლე გოგონა და ვაჟი, თითო მშობელი და მასწავლებელი გამოდიოდა. წინასწარი შეხვედრების შემდეგ ნახევარფინალში კლასიკური გიმნაზიის გუნდმა 84-ე სკოლის წარმომადგენლები დაამარცხა — 4:3, ხოლო 161-ე სკოლის გუნდმა 176-ეს აჯობა — 4:2. ფინალში კლასიკურმა გიმნაზიამ (ნიკა გონაშვილი, არჩილ ზანგურაშვილი, მაია აგეკიანი, ელენე აგეკიანი, მამუკა ფრუიძე, ნატო ქავთარაძე, დირექტორი მაია აფხაიძე) 161-ე სკოლას მოუგო 4:3 და პირველი ადგილი დაიკავა. მესამე ადგილზე გავიდნენ 84-ე სკოლის მაგიდის ჩოგბურთელები, რომლებმაც 176-ე სკოლის გუნდი დაჯაბნეს — 4:2.




გამარჯვებულები და პრიზიორები სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ოლიმპიელთა კლუბის პრეზიდენტმა კახი კახიაშვილმა, ძიუდოში ევროპის ორგზის ჩემპიონმა და ათენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა ნესტორ ხერგიანმა და სასკოლო ფედერაციის გამგეობის წევრმა, აკრობატიკაში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა, მსოფლიოს თასის მფლობელმა მანანა მნათობიშვილმა დააჯილდოვეს.

**გივი გაგუა**

**ნათია ფარჯიკიას ფოტო.**

სულთათანა

# ღირსეული მეცნიერის და სახელოვანი მამულიშვილის ოთარ ხომერიკის ნათელ ხსოვნას

ქართულმა სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და მკვლევარი, ახალგაზრდობის მრავალი თაობის ღირსეული აღმზრდელი, მაღალი მოქალაქეობრივი პრინციპებით და შეუბღალავი ავტორიტეტით გამორჩეული ერისკაცი, ქართული ელექტროტექნიკური სკოლის თვალსაჩინო მოღვაწე, საქართველოში ბიოსამედიცინო ინჟინერიის ფუძემდებელი და ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი **ოთარ კვიროსის ძე ხომერიკი**.

გამოგვაკლდა ჭეშმარიტი ინტელიგენტი, კაცთმოყვარე და უკეთილშობილესი ადამიანი, რომელსაც თავისი შეგნებული მოღვაწეობისას არც ერთი დღე არ უცხოვრია ქვეყნისა და ხალხის მომავალზე ფიქრის გარეშე.



ოთარ ხომერიკი დაიბადა 1926 წელს ქ. თბილისში მოსამსახურის ოჯახში. 1944 წელს საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, ჩაირიცხა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის (ამჟამად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) ელექტროტექნიკურ ფაკულტეტზე „სამრეწველო საწარმოთა ელექტრომოწყობილობების" სპეციალობით. წარჩინებით სწავლასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საქმიანობაში, სადაც სამეცნიერო კონფერენციებზე გამოდიოდა მოხსენებებით გერმანულ ენაზე. 1949 წელს წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი ინჟინერ ტექნიკოსის კვალიფიკაციით და სწავლა განაგრძო სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც მისი ხელმძღვანელი იყო ქართული ელექტროტექნიკური სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე.

1954 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. 1956-1960 წლებში ოთარ ხომერიკი მუშაობდა სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჯერ უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, ხოლო შემდეგ კი განყოფილების გამგედ. 1961 წელს სამუშაოდ გადავიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტში, ავტომატიკის და ელემენტების განყოფილების ხელმძღვანელად. ამ თანამდებობაზე 20 წელი იღვაწა ბატონმა ოთარმა და უდიდესი ამაგი დასდო მართვის ტექნიკური საშუალებებისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამეცნიერო მიმართულებების განვითარების საქმეს. 1966-1967 წლებში იგი ხანგრძლივი მივლინებით იმყოფებოდა ააჰენის (გფრ) უმაღლესი ტექნიკური სკოლის ნახევრადგამტარული ტექნიკის ინსტიტუტში, სადაც გერმანელ მეცნიერებთან ერთად საინტერესო კვლევები ჩაატარა ჰოლის ეფექტთან დაკავშირებულ პრობლემებზე და აჩვენა ჰოლის გადამწოდების გამოყენების ფართო პერსპექტივები.

1974 წელს ო. ხომერიკმა მოსკოვის მართვის პრობლემათა ინსტიტუტში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1981 წელს მას, როგორც სამუშაოს ხელმძღვანელს, ნაშრომთა ციკლისთვის „გალვანომაგნიტური გარდამქმნელების საფუძველზე გამოთვლითი ტექნიკის და ავტომატიკის მოწყობილობათა აგების პრინციპების დამუშავება, კონსტრუქციის შექმნა და წარმოებაში დანერგვა", მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერების დარგში.

ოთარ ხომერიკის პროფესიულ ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იგი წლების მანძილზე თავმჯდომარეობდა ყოფილ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიიის ელექტრული გაზომვების და გამზომი საინფორმაციო სისტემების სამეცნიერო საბჭოსთან არსებულ გალვანომაგნიტური ეფექტების კომისიას.

1981 წელს ო.ხომერიკი სამუშაოდ გადაიყვანიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, სადაც ნათლად გამოვლინდა მისი, როგორც მეცნიერების ორგანიზატორის ნიჭი და უნარი.

ო.ხომერიკის მიერ ჩატარებული კვლევები განსაკუთრებული სიღრმითა და ორიგინალობით გამოირჩევა, რაც მის 120-ზე მეტ ნაშრომშია ასახული. იგი 24 გამოგონების ავტორია. ო.ხომერიკის შრომები გამოქვეყნებულია აშშ-ში, ინგლისში, იაპონიაში, რუსეთში, ჩეხეთში, გერმანიაში, სლოვაკეთში და სხვაგან. მონაწილეობდა საერთაშორისო კონგრესების და სიმპოზიუმების მუშაობაში შვედეთში, ჰოლანდიაში, გერმანიაში, ავსტრიაში, რუსეთში, პოლონეთსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში.

ფასდაუდებელია ოთარ ხომერიკის ღვაწლი საინჟინრო კადრების აღზრდის საქმეში. 1954 წლიდან დაიწყო მისი პედაგოგიური მოღვაწეობა, პროფესორ ო.ხომერიკის ლექციები მაღალი პროფესიონალური კულტურის ნიმუში გახლდათ, რითაც მან სტუდენტთა უდიდესი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. 1983 წელს იგი მთლიანად გადავიდა სამუშაოდ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც საფუძველი ჩაუყარა ელექტრონული სამედიცინო აპარატურის კათედრას და 10 წელი ედგა მას სათავეში. პროფესორ ო.ხომერიკის უდიდესი ძალისხმევით ჩამოყალიბდა კათედრის უნიკალური სასწავლო-ლაბორატორიული და სამეცნიერო-კვლევითი ბაზა. კათედრა გადაიქცა კავკასიის რეგიონში ბიოსამედიცინო ტექნიკის სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის მძლავრ ცენტრად.

ბატონი ოთარი სიცოცხლის ბოლომდე ემსახურებოდა ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების ჩამოყალიბების საქმეს. მისი ხელმძღვანელობით მრავალი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია იქნა დაცული. მეცნიერების განვითარებისა და სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის 1986 წელს ბატონ ოთარს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის მაღალი წოდება მიენიჭა, ხოლო 1988 წელს ნაშრომთა ციკლისათვის „ნახევრადგამტარიანი მაგნიტომართვადი ხელსაწყოები" შექმნისა და მათი წარმოებაში დანერგვისათვის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა ტექნიკის დარგში.

პროფესორ ო.ხომერიკის სახელმძღვანელოებსა და მონოგრაფიებზე მრავალი თაობა აღიზარდა და სპეციალისტებისათვის სამაგიდო წიგნებად იქცა. ბატონი ოთარის დიდი მონდომების შედეგად კათედრამ მჭიდრო კონტაქტები დაამყარა ევროპის უნივერსიტეტების ანალოგიურ კათედრებთან და სამეცნიერო ცენტრებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია წლების მანძილზე პროფესორ ო.ხომერიკის საქმიანი პარტნიორული ურთიერთობები ცნობილ პოლონელ მეცნიერთან, ნობელის პრემიის ლაურეატთან, პროფესორ მაჩეი ნალენჩთან. ბატონ ოთარს დამსახურება მიუძღვის საყოველთაოდ ცნობილ საერთაშორისო კომპანია „სიმენსსა" და საქართველოს უნივერსიტეტს შორის მჭიდრო საქმიანი კონტაქტების დამყარებაში. იგი მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრიც გახლდათ, რაც მის მაღალ სამეცნიერო ავტორიტეტზე მეტყველებს.

მეცნიერების განვითარებისა და ახალგაზრდა სპეციალისტთა ჩამოყალიბებაში შეტანილი თვალსაჩინო ღვაწლისათვის 1997 წელს ო.ხომერიკი დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, ხოლო შემდგომ კი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდი საბჭოს ერთსულოვანი გადაწყვეტილებით – გიორგი ნიკოლაძის მედლით.

პროფესორი ო.ხომერიკი ქართული საინჟინრო მეცნიერების ჭეშმარიტად გამორჩეული წარმომადგენელია. მან თავისი მაღალი მოქალაქეობრივი ღირსებით ფართო საზოგადოების პატივისცემა და სიყვარული მოიპოვა.

არაჩვეულებრივი მეუღლე, მამა და ბაბუა გახლდათ ბატონი ოთარი. თავისი ქრისტიანული ცხოვრების წესით სამაგალითო იყო გარშემომყოფთათვის. უაღრესად შრომისმოყვარე, ზედმიწევნით პუნქტუალური, მართალი და პატიოსანი, მრავალმხრივ განათლებული, ჭეშმარიტი ინტელიგენტი, ზოგჯერ მკაცრი და შეუვალი, სინამდვილეში კი უაღრესად ზნეკეთილი და ლმობიერი – ასეთი გახლდათ პროფესორი ოთარ ხომერიკი, რომელიც წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი მშობლიური ქვეყნის, ერისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წინაშე. მის სახელს და ნაღვაწს დიდხანს არ დაივიწყებს მადლიერი შთამომავლობა.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,**
**საქართველოს საინჟინრო აკადემია.**

ხსოვნა

# თამაზ ჟორდანია



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი და სტუ-ს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სამშენებლო ფაკულტეტის სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ტექნოლოგიებისა და საშენი მასალების დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამშენებლო წარმოების ტექნოლოგიის ყოფილი კათედრის გამგე, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თამაზ ჟორდანია**.

ბატონი თამაზი თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტისა და ამავე ფაკულტეტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ჯერ საპროექტო ინსტიტუტის „საქწყალპროექტის" – ინჟინრად (1956-1957 წ.წ.), ხოლო შემდეგ, 23 წლის განმავლობაში (1958-1981 წ.წ.), საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ამჟამინდელ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში) – იყო ჯერ უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი და ბოლოს – ლაბორატორიის გამგე. სულ ახალგაზრდამ, აკადემიკოს ცოტნე მირცხულავას ხელმძღვანელობით დაიცვა ჯერ საკანდიდატო, ხოლო შემდეგ – სადოქტორო დისერტაცია. 1981-1982 წ.წ. იყო საქართველოს მშენებლობის სამინისტროს ტექნიკური სამმართველოს უფროსი, ხოლო 1982-1987 წ.წ. – მინისტრის მოადგილე. იგი იყო საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენითა და სხვა მრავალი სახელმწიფო ჯილდოთი.

განათლებისა და მეცნიერების სისტემაში მუშაობის პერიოდში მას საქართველოში და საზღვარგარეთ გამოქვეყნებული აქვს 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის: 5 მონოგრაფია, 8 გამოგონება და პატენტი, 18 სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთათვის.

პროფესორი თამაზ ჟორდანია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე თავის მდიდარ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას მრავალი წლის მანძილზე უნაწილებდა მომავალ სპეციალისტებს. წლების მანძილზე იყო სამშენებლო ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. მისი ხელმძღვანელობით დამუშავებულია მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

60-წლიანი თავდაუზოგავი და უანგარო მოღვაწეობის გრძელ გზაზე, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე – მინისტრის მოადგილის თუ კათედრის გამგის, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარისა თუ სალიცენზიო საბჭოს ხელმძღვანელის, სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა ასოციაციის „პროფესიონალიზმი მშენებლობაში" თავმჯდომარის, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსისა და სხვა პოსტებზე, თავისი პროფესიონალიზმით ხელს უწყობდა სამშენებლო დარგის განვითარებას, ყოველთვის ამბობდა მართალ სიტყვას, იღებდა სწორ ინჟინრულ, სამეცნიერო თუ პედაგოგიურ გადაწყვეტილებებს. იჩენდა მამობრივ მზრუნველობას თანამშრომელთა მიმართ, მძიმე წლებში უმსუბუქებდა მათ ყოფას.

ამიტომაც დღეს მადლიერი საქართველოს ტექნიკური ინტელიგენცია დიდი მოწიწებითა და სინანულით გემშვიდობებათ თქვენ, ბატონო თამაზ, თავის რჩეულსა და საამაყო წარმომადგენელს, ღირსეულ ადამიანსა და პიროვნებას, დიდ მეცნიერსა და ინჟინერს, მოწოდებით პედაგოგსა და სტუდენტი ახალგაზრდობისა და პროფესორ-მასწავლებელთა დიდ მეგობარს, შესანიშნავ მეოჯახეს, მოსიყვარულე მამას, ბაბუასა და დიდ ბაბუას, ყოველმხრივ მისაბაძ პიროვნებას, ჭეშმარიტ ინტელიგენტსა და მამულიშვილს...

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;**
**სტუ-ს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი.**

**გივი კვიჭიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა ოჯახის მეგობარი და უკეთილშობილესი პიროვნება, საქართველოს მშენებლობის მინისტრის ყოფილი მოადგილე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის კათედრის გამგე, რესპუბლიკის დამსახურებული მშენებელი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**თამაზ ჟორდანია**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**განცხადება**

**2014 წლის 13 თებერვალს 14 საათზე გაიმართება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი-88"-ის დამფუძნებელ წევრთა განმეორებითი საერთო კრება.**

**მისამართი: თბილისი, გოგოლის ქ. №9.**

**დღის წესრიგი:**

1. ამხანაგობის მიერ 2013 წელს გაწეული მუშაობის შესახებ **(ამხანაგობის თავმჯდომარე ზ. თაბუკაშვილი);**
2. ამხანაგობის დებულებაში ცვლილების შეტანა **(ამხანაგობის თავმჯდომარე ზ. თაბუკაშვილი);**
3. საორგანიზაციო საკითხები **(ამხანაგობის იურისტი თ. კობერიძე).**

ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა დასწრება სავალდებულოა.

**ამხანაგობის გამგეობა**

## უკვე ათი წელი შესრულდა

# ბოლოს და ბოლოს, ვინ მოკლა მიხეილ იმერლიშვილი?..

**2004 წლის გაზაფხულის ერთ საღამოს თბილისში, მოსაშვილის ქუჩაზე, მეთორმეტე სართულის ერთ-ერთ ბინაში ყაჩაღების ბანდამ სასიკვდილოდ დაჭრა მამა-შვილი მიხეილ და ოთარ იმერლიშვილები, შვილი ბედად გადარჩა, მამა დაიღუპა. საქმე მაშინვე კი აღიძრა, მაგრამ ჩვენმა აგრერიგად ნაქებმა ვარდისფერმა სამართალდამცავებმა ბანდის კვალს ვერ მიაგნეს... დაელდიანებულ, დამწუხრებულ ოჯახს საბოლოოდ გადაეწურა მკვლელის პოვნის იმედი.**



ამ დღეებში **მიხეილ დავითის ძე იმერლიშვილი** 89 წლისა გახდებოდა,თუ არა დღემდე უპოვნელი ყაჩაღი მკვლელის ტყვია, დღეს დაბადების დღე უნდა მიგველოცა ამ დიდებული ადამიანისთვის, რომელმაც მთელი ცხოვრება, როგორც მაღალკვალიფიციურმა იურისტმა, სიმართლისა და კანონიერებისთვის ბრძოლას მოახმარა. საქართველოში დღესაც ბევრია ისეთი მოქალაქე, ვისაც სამართალი საბოლოოდ სწორედ მიხეილ იმერლიშვილმა აპოვნინა. ამიტომ არის, რომ მის საფლავთან ოჯახის წევრებთან და შინაურ ჭირისუფლებთან ერთად ხშირად ნახავთ სრულიად უცხო ადამიანებს, რომელთაც მადლიერების ნიშნად ცოცხალი ყვავილები მიაქვთ და კეთილი სიტყვით იგონებენ ამ თავიანთ უანგარო კეთილისმყოფელს.

აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბატონი მიხეილი უაღრესად ბუნებათანაზიარი, გულთაზიარი და საზოგადოებრივი ადამიანი იყო. პოეტის თქმისა არ იყოს, მუდამ იქ იყო, სადაც ქარიშხალი ქროდა. იგი მეორე მსოფლიო ომში მთელი ოთხი წელიწადი ფრონტზე იბრძოდა, ომის შემდგომ კი როგორც ყველა პატრიოტი, სამშობლოს აღმშენებლობის ხარაჩოებზე იდგა.

ამჟერად ბატონი მიხეილის ძვირფას მეუღლესთან – ქალბატონ სუზანა მირიანაშვილთან, ქალიშვილ ლიკასთან, ვაჟიშვილ ოთართან, საყვარელ შვილიშვილებთან გიორგისთან, სოფოსთან, ახალშეძენილ სიძესთან, ჩინებულ ახალგაზრდა ლაშა ხაჟალიასთან და უკვე პატარა შვილთაშვილ ნიკოლოზთან ერთად კიდევ ერთხელ მივიტანთ ყვავილებს ამ დაუვიწყარი, დიდად ღირსეული ადამიანის სამარესთან და კიდევ ერთხელ ჩავძახებთ, რომ სამართალსა და სამართლიანობას მეოცნებეთა გამარჯვების შემდგომაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ უჭირს საქართველოში.

როგორც ძალიან ბევრი სხვა საქმე, მიხეილ იმერლიშვილის მკვლელობაც, ჩვენი თავნაქები სამართალდამცავების სამარცხვინოდ დღემდე გაუხსნელია და, რაც მთავარია, ვაი, რომ არც გახსნის პირი უჩანს.

ღმერთმა ნათელში ყოფნა არ მოგიშალოს, კეთილო და გულისხმიერო, ყველა გაჭირვებულის ხელისამპყრობელო, ჭეშმარიტად ქართველო ადამიანო, ჩვენო ღვთისნიერო მეგობარო, ძვირფასო მიხეილ!

ახლა ისღა დაგვრჩენია, იმედი ვიქონიოთ, რომ ბოლოს და ბოლოს საქართველოში სიმართლე ჭეშმარიტად იზეიმებს და „ვარდოსანთა" ხანაში შენი მკვლელობის დღემდე ბნელ საქმესაც ნათელი მოეფინება... მკვლელები უნდა დაისაჯონ!

**კოლეგები, მეგობრები**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



### ხაიშში მიწის აზომვითი სამუშაოები დროებით შეჩერდა

**ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ** საკითხთან დაკავშირებით გუშინ ენერგეტიკის სამინისტროში ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის, სასჯელაღსრულების მინისტრის სოზარ სუბარის და მესტიის მაჟორიტარი დეპუტატის ვიქტორ ჯაფარიძის დახურული შეხვედრა გაიმართა. ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის განცხადებით, ის მზადაა, თავად ჩავიდეს ხაიშში, ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდეს და ხუდონჰესის პროექტის მნიშვნელობა დეტალურად ახსნას. „ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნით, აზომვითი სამუშაოები დროებით შეჩერდა. ჩვენი მოთხოვნა ინვესტორის მიმართ იყო და შეთანხმებას მივაღწიეთ, რომ 1 ლარად გაცემული მიწების ადგილობრივი მოსახლეობისთვის დაბრუნება და დამატებითი რეგისტრირება მომხდარიყო, რასაც მოსახლეობის პროტესტი მოჰყვა და სამუშაოები შეჩერდა... მე მზად ვარ, ავუხსნა მოსახლეობას პროექტის დადებითი მხარეები" – ამბობს კახა კალაძე.

**„ახალი თაობა"**

### წინასაარჩევნოდ სკანდალური ვიდეოების გახშირებაა მოსალოდნელი

**ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝᲓ** ვანო მერაბიშვილის „ორი გვამის" მსგავსი სკანდალური ვიდეოჩანაწერების გავრცელების გახშირებას სპეციალისტთა ნაწილი ელოდება, თუმცა იმედოვნებენ, რომ პოლიტიკური ძალები ერთმანეთთან ბრძოლას, მსგავსი იაფფასიანი მეთოდებით არ დაიწყებენ. ერთზე ყველა თანხმდება, რომ მსგავსი სახით ჩანაწერების მფლობელი არა მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტრო შეიძლება იყოს, არამედ მრავალი ყოფილი ჩინოვნიკი თუ სხვა კერძო პირი, რომელთაც მასალების დიდი ნაწილი უცხოეთში ექნებათ გატანილი. შესაბამისად, არავინ იცის, როდის და რა მიზნით მოინდომებენ ამა თუ იმ პოლიტიკოსის (მათ შორის ახლანდელი ხელისუფლების წარმომადგენლების) მაკომპრომატირებელი მასალის გამოქვეყნებას და ამით საზოგადოებრივი აზრისა და არჩევნების შედეგების ფორმირებას.

**„რეზონანსი"**

### რა უთხრა ნათელაშვილმა „ალიას" ივანიშვილზე?

– **ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲡ** ჩემთვის რომ ფული მოეცა და ეს უნდა გაეკეთებინა 2002-2003 წლებში, როცა მე მაგას გავუგზავნე თავისი ბიძაშვილი და შევუთვალე, – შევარდნაძეს ვებრძვი და დამეხმარე, საქმე ბოლომდე მიმაყვანინე-მეთქი, სააკაშვილს კაციჭამია რეჟიმი თავზე არ დაგვასხდებოდა და ტერიტორიებს არ დავკარგავდით, მაგან ჩემი დაფინანსების მაგივრად სააკაშვილი დააფინანსა და „ვარდების რევოლუცია" მომიწყო. ივანიშვილმა ჯერ შევარდნაძე ბერა დოლარებით, შემდეგ „ნასოსი" შეუერთა სააკაშვილს და ბოლოს, როცა დაინახა ეს სააკაშვილი ველარ ქაჩავდა, იფიქრა, – ვაიმე ახლა შალვა არ მოვიდესო და პოლიტიკაში შემოხტა.

**„ალია"**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

## დაიჯესტი

### „სპორტული" დედების უპირატესობა

**ᲝᲠᲡᲣᲚᲝᲑᲘᲡ დროს სპორტული ვარჯიშები ხელს უწყობენ ბავშვის თავის ტვინის განვითარებას.**



უწინ ექიმები ფეხმძიმე ქალბატონებს ცხოვრების ზომიერი წესის მიყოლას ურჩევდნენ. ბოლო დროს კი კანადელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ „სპორტული" დედების ჩვილების თავის ტვინი გაცილებით სწრაფად ვითარდება და უფრო ჯანსაღია. მკვლევარები ამას იმით ხსნიან, რომ სპორტული ვარჯიშების დროს ორგანიზმი გაცილებით მეტ ჟანგბადს მოიხმარს.

### ჯერ ტანსაცმელია საინტერესო, მერე – ქოჩორი...

**ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲛᲐ მეცნიერებმა ერთობ სენსაციური განცხადება გააკეთეს: თურმე ქალებს ერთი ნახვით შეყვარება არ შეუძლიათ!**

აღმოჩნდა, რომ მამაკაცის მომხიბლაობის გასარკვევად ქალბატონებს, საშუალოდ, 45 წამი, ანუ ექვსი მზერა სჭირდებათ, რომელთა დროს ისინი სამოსს, თმის ვარცხნილობას, თვალის ფერსა და ხელების ფორმას აკვირდებიან. ამის შემდგომ კი ქალი მიმიკასა და ჟესტებს აკვირდება და, შესაბამისად, გადაწყვეტილებას იღებს, ღირს თუ არა მამაკაცი მის ყურადღებად.

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

**– ᲨᲔᲜ რა გენაღვლება! მე კი რამდენი ფული მჭირდება ეპილაციისთვის, მანიკიურისთვის, პედიკიურისთვის, კოსმეტიკისთვის... – ეწუწუნება ქალი ქმარს.**

**– მე კი იმთავითვე ლამაზი და სრულქმნილი დავიბადე.**

* * *

**– ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ, – ეუბნება ქმარი ცოლს – შენ საიდან იცი ყველაფერი ის, რის გაკეთებასაც არ ურჩევ ჩვენს ქალიშვილებს?**

* * *

**– ᲠᲐᲡ აპირებ ზაფხულში? – ეკითხება დაქალი ნატაშას.**

**– ზღვაზე წავალ დასასვენებლად შემხვედრი მანქანებით.**



**– მერე არ გეშინია?**

**– არა, ყველაფერი გათვლილი მაქვს ერთი მომენტის გარდა.**

**– რომელი მომენტის?**

**– როგორ ფიქრობ, თუ გამაუპატიურებენ, წინდებს გამხდიან?**

**– ვფიქრობ, არა.**

**– მაშინ ფულს წინდებში შევინახავ!**

* * *

**– ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲝ, მართალია, რომ თქვენს ცოლს სცემთ?**

**– ტყუილია, მე პროფესორი არა ვარ.**

* * *

**– ᲓᲦᲔᲡ სამუშაოდან გამათავისუფლეს! – ეუბნება გაღიმებული კაცი ცოლს.**

**– მერე რა გიხარია, შე უბედურო?**

**– ის, რომ დანარჩენები დაიჭირეს.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოძუაშვილი 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24